წელიწადი მეათე Dixième Année

საქართველო უჯინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

ეროვნული ეროვნების დაარაზმულობა თეთრი გიორგის ორგანო

პარიზი, 1935 წ. სექტემბერი. № 90

რედაქტორი: — ვიკ. ნოზაძე

Paris, Septembre 1935, N° 90

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens « THETHRI GUIORGUI »

Directeur VICTOR NOSADZÉ

Rédaction : 126, Avenue Emile Zola, Paris XVe.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამოზისთვის აჯანყება

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი"...

რუსეთის ბატონობის გავლენამ და მარქსიზმის ქადაგებამ 1921 წელს საქართველო სამარცხვინოდ დაამარცხა. ეროვნული შეგნება მოდუნებული აღმოჩნდა, ქართული სული დამახინჯებული. ორგულობა და ქვეყნის ღალატი ხშირი მოვლენა გახდა. მარიალია, შიგა-დაშიგ იყვნენ თავდადებული მამულიშვილნი, ეროვნული ბროძლაც სწარმოებდა, მაგრამ მას ფართე ხასიათი არა ჰქონია. ვერც ერთმა მიმართულებამ ვერ შეჰქმნა საღი ეროვნული მიმართულება, რომელიც შესძლებდა დაზიანებული ქართული სულის აღდგენას და ქართულ ტრადიციაზე და ზნეობრივ პრინციპებზე ნაციონალურ სახელმწიფოს შექმნას. ჩვენი ეროვნული დეგრესი საუკეთესოდ გამოაშკარავდა რუსეთის ხელმეორედ შემოსევის დროს, რის შედეგ ბევრი ქართველი უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ მოიცო.

მაგრამ ქართული სული, დროთა უკუღმართობით მიძინებული, ისევ გაცხოველდა, ეროვნული სინიდისი გამოფხიზლდა, ჩვენმა ქვეყანამ ბრძოლის უნარი განაახლა და თავისი უზენაესი სურვილი კვლავ განიმეორა.

ბევრი მწარე 29 აგვისტო უნახავს ქართველ ერს; ეს მისთვის უცხო არ იყო, მაგრამ თუ ეს ამბოხება წარსულის გაგრძელებაა და ჩვეული გზით სიარულს წარმოადგენს, მას სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობაც აქვს.

ეროვნული განძის ოცეულის პერიოდში, დამცირებულ საქართველოს სიცოცხლის და გამარჯვების სული შთაებერა, ეროვნულ შეგნებას განვითარება მიეცა; ყველამ დაინახა, რომ ვერც რუსეთმა, ვერც წითელი წარღვნის მქადაგებლებმა, უხსოვარ დროიდან მომდინარე სამშობლოს კულტი და ქართული რაინდობა ვერ აღკვეთა.

საქართველოს ისტორია კვლავ დამშვენდა წამებულ გმირთა სახელებით და მრავალ ათას მამულიშვილთა მარად საამაყო საფლავი შეიქმნა ჩვენი ნუგეში და იმედი. ეს არის აგვისტოს აჯანყების ზნეობრივი ღირებულება, ხოლო რაც შეეხება მისი მომზადების და მომენტის შერჩევის საკითხს, აქ, რასაკვირველია, დიდი შეცდომა იყო დაშვებული ხელმძღვანელთა მიერ, რომელთა შორის სოც.დემოკრატიული პარტია მთავარ როლს თამაშობდა. ცხადია, მარქსისტების მიერ შექმნილ დამოუკიდებლობის კომიტეტს გარკვეული ჩამოყალიბებული ეროვნული მიზანი ვერ ექნებოდა და არც ეროვნული დისციპლინა, ურომლისოდ ყოველგვარი ბრძოლა უნაყოფოა.

დამოუკიდებლობის კომიტეტი არ შექმნილა იდეურ შედეგების შედეგად, არამედ იგი სხვა და სხვა მიმართულების პარტიათა ტაქტიკური შეთანხმება იყო, მეტად სუსტი და არა მყარი, სადაც წვრილმან საკითხებზე ბევრი დრო და ენერგია იხარჯებოდა და მუშაობა მეტად გაძნელებული იყო, რადგან არც ერთი მათგანი, არც ერთი პარტია არ ივიწყებდა პარტიულ ინტერესებს, განსაკუთრებით სოც.დემოკრატიული პარტია, რომელიც დაკარგული ბატონობის აღდგენაზე უფრო ფიქრობდა, ვინემ ერზე და მის ინტერესებზე.

მაგრამ, თუ ხელმძღვანელთა წრეში ასეთი მდგომარეობა იყო, ხალხი, ფართე მასსა სულ სხვა სურათს წარმოადგენდა: — აქ ინსტიკტიურად ერთობა არსებობდა, ყველა ერთის გრძნობით იყო გამსჭვალული; ხელოვნურად გამოწვეული პარტიული დაყოფა ბრძოლის მომენტში სავსებით მივიწყებული და წაშლილი იყო; ბრძოლის სურვილი და ენერგია ყველას ჰქონდა, ხოლო მეთაური არ გამოჩნდა, ერს ხელმძღვანელი აკლდა.

ბუნებრივი ერთობა ჩვენი ხალხისა, რომელიც მარიამობისთვის აჯანყებაში გამოაშკარავდა, არის უდიდესი მნიშვნელობის მომენტი და ამავე დროს საფუძველი და შინაარსი ჩვენი მუშაობისა. ერმა უმეთაუროდ გამარჯვებას ვერ მიაღწია; ვისარგებლოთ მწარე გაკვეთილით, რომ წარსულის შეცდომები მომავალში არ განმეორდეს.

ჩვენ გვრწამს: —ეს მომავალი არც ისე შორს არის!

კ. სალია

საერთაშორისო გამოფენისათვის

ამბობენ: ამ ქვეყნად ახალი არაფერი არის; შეიძლება ეს მართალი არ იყოს საერთოდ, მაგრამ იმ საკითხში, რომელსაც დღეს ჩვენ ვეხებით, მართლაც ახალი არაფერია. ის, რაც დღეს აწუხებს ქართველ ერს, აწუხებდ მას წარსულშიაც, როდესაც წითელი მეფის მაგივრად თეთრი მეფე ბატონობდა.

რუსული იმპერიალიზმისა და ბატონობის მეთოდი, როგორც ეს ერთხელ სახალხო კომისარს ჩიჩერინს წამოსცდა, ძველებური დარჩა, ხოლო ქართველი ერის ბრძოლა ამ ბატონობის წინააღმდეგ უფრო დაბრკოლებული შეიქმნა.

ძველად იტყოდი მაინც, დასწერდი მაინც, იყვირებდი მაინც, და თუ არავინ გაგიგონებდათ და მოგისმენდათ, გულს ხომ მოიოხებდით! იქნებ საკუთარ ნაბიჯსაც გადადგამდით, ქართულ რომელიმე კომიტეტს დააარსებდით და იმუშავდით შესაძლებლობის ფარგლებში! ეხლა, წითელი რუსეთის ბატონობის დროს, ამისი საშუალებაც არ არის, რადგან არავის ძალუძს არც ხმის ამოღება და არც ნაბიჯის გადადგმა — სასტიკად აკრძალულია! რაზე ვლაპარაკობთ და რას ვეხებით? გარეგნულად მეტად მარტივსა და უბრალო მოვლენაზე, — რომ რუსეთმა, თეთრმა და წითელმა, საქართველოს გეოგრაფიული სახელიც კი მოსპო და მისი სახსენებელი უცხოეთისათვისაც წარშალა.

... ვითომ არსებობს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა და სინამდვილეში არც არსებობს, — არის ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა და არც არის... მისი სახელიც არა სჩანს! სახელი?! დიახ: სახელი, ვინაიდან სახრავი დიდი ხანია უკვე მოსკოვის ხელშია! ეს სახელი მაინც შერჩენოდა საქართველოს და სცოდნოდათ იგი სხვაგანაც!

საერთაშორისო ასპარეზზე სახელის გამტანი, სხვათა შორის, გამოფენაც არის და დღეს მას მივაქცევთ თქვენ ყურადღებას. — საერთოდ, საერთაშორისო გამოფენა მაინცდამაინც ახალი ამბავი არ არის. პირველად გამოფენის საგანი იყო მხატვრობისა და ხელოვნების ნიმუშები, და მას ჩვენ ვხვდებით რომში, ვენეციაში, პარიზში, ვენაში, და სხ. ხოლო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარიდან, სამრეწველო საგნებიც გამოდის ასპარეზზე და მანქანურ წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით, თავისი საპატიო ადგილი ეძლევა; ასეთ გამოფენას დასაწყისში სწავლების მიზანი ჰქონდა ახლად შემოღებულ მანქანების მოხმარების მიზნით. 1756 წელს პირველად გაიმართა ამგვარი ადიდი გამოფენა ლონდონში, შემდეგ პარიზში 1763 წ. მერმე ჰამბურგში 1790 წ. და სხ. სამანქანო მრეწველობის განვითარებასთან ერთად გამოფენამ თავისი ფარგლები გააფართოვა და სამრეწველო საგნები — საქონელი — სყიდვა-გაყიდვის მიზნით გამოფენაზე მოვიდა და დამკვიდრდა. პარალელურად: პრესისა და რეკლამის განვითარებასთან ერთად გამოფენებმა მიიღო ფართო ხასიათი და ბოლოს იგი საერთაშორისოდ გადაიქცა. ეს მოვლენა განსაკუთრებით გავრცელდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარიდან ინტერნაციონალურ ექსპორტ - იმპორტთან და კონკურენციის განვითარებასთან დაკავშირებით. პირველი დიდი საერთაშორისო გამოფენა მოხდა ლონდონში 1851 წ., შემდეგ პარიზში 1855 წ. და მერმე კი ხშირად. ამ საერთაშორისო გამოფენათა გარდა ეწყობოდა და ეწყობა ადგილობრივი გამოფენაც და ზოგგან მუდმივი გამოფენაც. — თუ საერთაშორისო გამოფენას რა მნიშვნელობა აქვს ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, ეს ყველასათვის ცხადია და განმარტებას არ მოითხოვს.

1894 წ. მოეწყო ანტვერპენის ანუ ანვერის გამოფენა. ასეთი დიდი მოვლენისათვის არ შეიძლება ყურადღება არ მიექცია მაშინდელ ქართველობას და არ მოესურვებია, რომ ქართულ საქონელსაც თავისი ადგილი ჰქონოდა ამ საერთაშორისო პავილიონზე.

ამ საკითხს ეხება ჟურნალი „კვალი" (№ 6, 30 იანვარი 1894 წ.), რომელსაც გიორგი წერეთელი რედაქტორობდა, სადაც ვინმე **კვიმატი** შემდეგსა სწერს: —

„სხვათა შორის რუსეთის მთავრობასაც განცხადებული აქვს, რომ თავის საბრძანებლოს კუთხეებიდან ყოველნაირი ნაწარმოები მიაწოდოს ანტვერპენის გამოფენაზე. როგორც ყოველთვის, ახლაც მთავრობას ეს ს აქმე მინდობილი აქვს სავაჭრო და სამრეწველო დეპარტამენტისათვის. რადგან აქამდის ამ დეპარტამენტიდან ჩვენს საქართველოს მწარმოებელთა ცნობები არ მოსვლია, საეჭვოა, რომ საქართველოდან ბევრი ვინმე დაესწროს, ან მიიტანოს ამ გამოფენაზე თავისი ნაწარმოები, ამისათვის რომ საქმე დაგვიანებულია. რასაკვირველია, როგორც წინეთ ყოფილა, ახლაც ასე იქნება, რომ რამოდენიმე ჩვენი ქვეყნის მწარმოებელი, განი, როგორც მაგალითად, [illegible] ბერიძეშვილი, [illegible] ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, თ. ჯორჯაძის ფირმა და იქნება ორმა ან სამი ქვაგუნდის მეპატრონეებმა გაგზავნონ თავის ნაწარმოებთა ნიმუშები, [illegible], რასაკვირველია, **როგორც რუსეთიდან [illegible] ზავნილი**, [illegible] ჩაირიცხებიან და თავის მწარმოებელ[illegible], **როგორც რუსები**, ისე [illegible] მსოფლიო [illegible]ფენაზე, **[illegible]გრამ ამითი ხ

მ საქართველოს თავ[illegible] ფერი და იერი არმიე ცემა.** ანვერის მსოფლიო [illegible]ფენაზე წელსაც, როგორც აქამდე, იქნება ერთი საზოგადო რუსეთის განყოფილება და მეტი არაფერი.

საქართველოს წარმოებას რუსეთის ერთა შორის თავის საკუთარი განყოფილება უნდა ჰქონდეს მსოფლიო გამოფენაზე და იმ კუთხეს რუსეთის განყოფილებისას, საცა საქართველოს ნაწარმოები იქნება ლაზათად დაბინავებული, ზედწარწერა უნდა ჰქონდეს, რომ აქ ამ ვიტრინაში, ანუ შუშაბანდში, საქართველოს ერის ყოველნაირი ნაწარმოების ნიმუშია დაწყობილი ისეთ რიგზე, რომ უცხოელმა, ვიტრინაში შესულმა, დაწვრილებით უნდა გაიცნოს, საქართველოს ერის განვითარების ნაყოფი.... . .

... უნდა დავაარსოთ მსოფლიო გამოფენის ქართველთა კომიტეტი"……

მკითხველი ხედავს, თუ რაზე დარდობდა ბ-ნი **კვიმატი** და ეს დარდი ჩვენც გაგვიახლდა, როდესაც პირველად ლაიპციგის გამოფენა ვინახულეთ. აქ იყო წარმოდგენილი დიდი რუსეთი, წითელ რუსეთი, რომლის პავილიონში თქვენ ნახავდით ქართული მიწა-წყალის ნაწარმოებს და ვერ ნახავდით საქართველოს სახელს. მოდით და სთქვით, რომ ქვეყანაზე იცვლება რამეო!

ვნახეთ კიდეკ სერთაშორისო გამოფენა, პირველი უდიდესი გამოფენა პრესისა, ქალაქ კოლნის საერთაშორისო გამოფენა პრესისა; რა ერისა და რჯულის წიგნი და გაზეთი არ იყო აქ! წითელ რუსეთს ეკავა უზარმაზარი პავილიონი, რუსული გაზეთების სახელებით ვეებერთელა ოთახი აპრელებული იყო და თქვენმა მორჩილმა ერთი სათის განმავლობაში, ძებნის შემდეგ, ძლივს მონახა სადაც კუთხეში მიგდებული ერთი ქართული წიგნი, ძველად გამოცმული, — უსახლოდ, უპატრონოდ! და არც ერთი გაზეთი!

აბა ვის გინახავთ პარიზის გამოფენაზე ქართული, თუნდაც კავკასიური განყოფილება?! სამაგიეროდ ყველა ნახავს მეტროს კედლებზე გაკრულ სარეკლამო სურათს, რომელსაც ფრანგულად „კავკასია" აწერია და ზედ ტიპიური, ჩასუქებული სქელი და ცხვირაკეტილი რუსის გოგო არის დახატული, რომელსაც ყურძენის მტევანი პირისაკენ მიაქვს!!! კავკასია და რუსის გოგო მტევანით ხელში! და როგორ იტყვით, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი იცვლებაო?!

აი ახლოვდება პარიზის 1937 წლის გამოფენა, — გამოფენა, რომელიც ყველა ყოფილს თავისი სიდიდითა და ბრწყინვალეთ დაჩრდილავს, როგორც ამბობენ. რასაკვირველია: საბჭოთა რუსეთი დიდ, საპატიო ადგილზე იქნება გამოჭიმული, ეხლა მას აქ ყველაფერი ხელს უწყობს; მაგრამ იქნება აქ წარმოდგენილი საქართველო?! იქნება აქ წარმოდგენილი თუ გინდ ამიერკავკასია!?!? ჩვენ ამას არ მოველით. რუსული პოლიტიკა — თეთრი თუ წითელი — ერთი და იგივეა, ხოლო უბედურება კიდევ ისაა, რომ არც ქართული საგამომფენო კომიტეტის შექმნაა შესაძლებელი! და-ს. ს. რ.ის ბატონები კიდევ ბედავენ ერთა თავისუფლებაზე წერასა და ყვირილს — ევროპის ხალხთა თვალის ასახვევად და მოსატყუებლად, რასაკვირველია!

შ. მაღლაკელიძე

ვინა ვართ ქართველები

(კერძო წერილების გამო)

ყველა ერის წარსული ერთს სურათს გვიჩვენებს:— თუ ერი დაჩაგრულია და ეროვნულ აკტივობას ვეღარ იჩენს, ან არ იჩენს, საღათას ძილსაა მიცემული, იგი მწარე სამიშროების წინაშეა დამდგარი და ეროვნულად სიკვდილის პირზეა, თუ რაიმე ისტორიულმა მოვლენამ მას ბიძგი არა ჰკრა, ღონიერად თავში არ ჩაჰკრა და ზე არ წამოახტუნა. — ქართველმა ერმა ისტორიის უკანასკნელი ხანის განმავლობაში ეს სურათი გვიჩვენა და თუ ეროვნული გულით მფეთქავ მოაზროვნეს არა სწამდა ქართველი ერის სიკვდილი და გაიძახოდა: — „არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს!"... მხოლოდ ეს იმედი აღფრთოვანებდა და ბრძოლის ნებისყოფას უბასრებდა. მართლაც: მოლოდინი გამართლდა და შესაფერ პირობებში და ისტორიულ მსხვრევათა წუთში ქართველმა ერმა დიდი ეროვნული სულიერი და ზნეობრივი ვაჟკაცობა გამოიჩინა, — ამ ვაჟკაცობის გამოყენება ფრიადამდე შესაძლებელი იყო, რომ მის მაშინდელ ხელმძღვანელობას ეროვნული პირველადათ დაესახა და მშენებლობის უნარი გამოეჩინა.

ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის ისტორიაში მეტად ფართო და აშკარა ცვლილება მოხდა უკანასკნელი ხანის ასპარეზზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერი აკტიურ ეროვნულ ბრძოლაში ჩაება.

ვისაც არ ახსოვს, ალბად გაუგონია და არც ისე შორეული წარსულის ამბავია, რომ ბევრ ქართველს ამ ეროვნულის სახელის ტარება ეჩოთირებოდა; ბევრი კიდევ მას მალავდა; ბევრი ქართულ უკულტურობაზე და ჩამორჩენილობაზე წუწუნებდა; ბევრი მოსთქვამდა, რომ ჩვენ არ გვაქვს ლიტერატურა, ამიტომ რუსულს ვკითხულობთო; ქართული ენით ყველა აზრს ვერ გამოვსთქვამთ, ამიტომ რუსულს ვლაპარაკობთო; ქართული ფილოსოფია არ არსებობს, ამიტომ რუსულს ვეტანებითო; ჩვენს ისტორიაში რაა საინტერესო: მხოლოოდენ ომებია და დაუსრულებელი სისხლისღვრა! ბევრი კიდეც ცხარობდა: რას ჩაგვაცვევდით მაგ ქართულით; გავიგეთ, ბატონებო, რომ იყო თამარ მეფე და შოთა რუსთაველი, მორჩა და გათავდა! ჩვენი სიმღერა რა სიმღერაა, მარტოოდენ ტირილი და მოთქმაა, — აბა გაიგონე რუსულ-ციგნური, რა მომხიბლავია! ჩვენი მხატვრობა ვის უთქვამს! კი, გვაქვს ხუროთმოძღვრება, მაგრამ ის ხომ ბერძნულია! ჩვენი მუსიკა, ოჰ, რა მოსაწყენია! ჩვენი ცეკვა — ეს ხომ ლეკურია! ჩვენი თეატრი, რის სპორტი, ქართველებმა მარტო კრივი და ხანჯლობაა ვიცით! და სხვა და სხვა ყოველი ნიშანი ნიღილიზმისა, რაც ერის დაძაბუნებასა და დაბეჩავებას მოასწავებდა! — ამ ნიღილიზმში ქართული ინტელიგენციის დიდ ნაწილს წილი უძევს და ამავე ნიღილიზმით იგივე ნაწილი გარუსების უნებლიე ხელის შემწყობი იყო და ეროვნული მეობის შეგნების დამაბნელებელი და შემრყვნელი.

ეს ფსიქოლოგია შეტორტმანდა და შეირყა დიდი ომის დროს, დაეცა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს და ამ ეროვნული ნიღილისტური ფსიქოლოგიის ნაცვლად ბრძოლის ველზე და სისხლის ღვრაში, შემდეგ, დაიბადა ქართული ფსიქოლოგია, რომელმაც დაიწყო ზრდა და აღმავალი განვითარება სწორედ უკანასკნელ ხანაში.

ეს ის ხანაა, როდესაც სიტყვა „ქართველი" საამაყოა; ქართველობა თავმოსაწონებელია და სხვებზე უპირატესობის დამამტკიცებელი. აღარავის ეჩოთირება ქართველის სახელის ტარება, პირიქით, იბრძვის მისი გულისათვის; აღარავინ წუწუნებს ქართულ უკულტურობაზე; წარსულმა ტვერმიყრილმა საუნჯემ თავისი გული გახსნა და გადმოაფრქვია განძეულობა ქართული კულტურისა, ხელოვნებისა, საქმიანობისა; აღარავინ ამბობს, რომ ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა, ვინაიდან ცხრაკლიტულში ჩაგდებული ჩვენი ძველი საუნჯე-მწერლობა, დახავსებულ ზანდუკში ჩამტვერული, დღის სინათლზე გამოდის და ყველას აოცებს იგი, ეგზომ ბრწყინვალე არის იგი! აღარავინ ამბობს, რომ ჩვენი ისტორია საინტერესო არაა, რომ იგი მხოლოოდენ ომებია და დაუსრულებელი სისხლისღვრა; დღეს ყველა ხედავს, თუ რაოდენ ძლიერი, მომქმედი, შემომქმედი და ეროვნული ენერგიით არის იგი აღსავსე და რამდენად ფართო არის მისი გაჭანებული მოძრაობა; რომ თამარისა და შოთას გარდა, თურმე სხვა მრავალი სახელიც ყოფილა, რომელიც დიდ ისტორიულ ჩარჩოებს მოითხოვს; რომ ქართული ფილოსოფიაც ყოფილა და ქართველ ფილოსოფოსთაც უთქვამთ თავისი სიტყვა; და რომ ტერმინოლოგიის საძებნად მოსკოვში წასვლასულაც არ ყოფილა საჭირო; რომ ქართული ენა სიმდიდრისა და სიბრძნის დაუშრეტელი წყაროა, როგორც ამას აღტაცებით აკადემიკოსი მარრი ამბობდა; რომ ქართული კანონმდებლობა ევროპიულზე ჰუმანიური და მაღალი ყოფილა; რომ ქართული სიმღერა არაჩვეულებრივია თავისი ისტორიითა და ღირსებით; რომ იგი ევროპის სამხმიანი მუსიკის დასაბამია; რომ ქართული მხატვრობის ისტორია მარტო თამარ მეფის დროით არ შემოიფარგლება; და რომ მიქელაძის ქალისა და თავაქარაშვილების რიცხვით სახელი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის; რომ პოეტესა ქალბატონ დაფინას ერეკლეს ასულები მოსდევენ; რომ ქართული ხუროთმოძღვრება თავის ოსტატ ბერძნულზე ხშირად უმაღლესია, და რომ მას აკადემიკოსი კონდაკოვიც აღტაცებაში მოჰყავდა; რომ ქართული მუსიკა ხალხური შემოქმედების უდიდესი მოვლენაა და ქართული თეატრი გუშინდელი ამბავი არაა; რომ მეტალიურ იკონოგრაფიაში და საერთოდ ოქრომჭედლობაში ხელოვნება უმაღლეს ხარისხამდე იყო ასული და ბიზანტიურს ხშირად სჯობნიდა და ყოველ შემთხვევაში საკმაო ძლიერადაც ეჯიბრებოდა; ისიც კიდევ, რომ თურმ დღევანდელი ევროპიული სპორტიც ძველ საქართველოში გაფურჩქვნილი იყო, და რომ მას მეფე და გლეხი ეწეოდა, ერთად! ბურთი, ჩოგანი, ჭაკუნობა, ყეენობა და სხვა, საპატიო მოედანზე იყო, თუ წმინდა მხედრულ ვარჯიშობას თავს დავანებებთ! და რომ, ერთი სიტყვით, ქართული კულტურა არის ერთი საუნჯე, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში თავისი პატივსადები ადგილი აქვს...

ყველაფერი ეს გარდძოიშალა, გარდმოვიდა ძველ ისტორიის გოდრებიდან, და დღეს ყველა მოაზროვნე და მკითხველი ამ წარსულს ეძებს, წარსულს, სადაც ამდენი თვალმარგალიტია დამარხული, ეძებს სიხარულითა და სიამოვნებით ...

და განა მართალი არ იყო ილია ჭავჭავაძე, როდესაც სწერდა: — „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს... ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მაჩვენებელი იმისა თუ, — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყენეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზე იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდეევთა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის.... ისტორია ის დიდებული ტაძარია, საცა უწირავს ერთიანს

სულსა ერისას და საცა აღუმართავს ერს თავის დიდებულ და დიდბუნებოვან კაცთა უწმინდაესნი ხატნი და ზედ წარუწერია დიდთა საქმეთა მოთხრობა, ვითა საშვილიშვილო ანდერძი. ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის სულის წირვა, ეგ თავის დიდ ბუნებოვანი კაცნი და დიდთა საქმეთა ამბავი, კეთდება, მხნევდება, ჰგულოვანდება და თავმოწონებულია ყვლგან, ჭირია თუ ლხინია. ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუვარდება, არ დაუძაბუნდება არავითარს ზედმოსეულს უბედურებასა და განსაცდელსა. იგი გულგაუტეხელად იბრძვის, იღწვის, გამხნევებული თავის მამაპაპის მაგალითითა და ანდერძთა, და ამიტომ გულგაუტეხელი მებრძოლი დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს ამ წუთისოფელში.“....

რასაკვირველია: მართალია ილია ჭავჭავაძე; ჭეშმარიტებით ღაღადებს მისი სიტყვა და ქართველი ხალხის წარსულსა და თანამედროვე ვითარებას სრული სინამდვილით გვიხატავს. დღეს ქართველი ერი სწორედ იმ ხანაშია, როდესაც იგი „ერთიანის სულის წირვით“ არის დასაქმებული, როცა იგი თავისი ისტორიული ვინაობით გასალკლდევებული და მამაპაპის მაგალითით გაკაჟებული ზედმოსეულს უბედურებას არ ეძაბუნება და დუზოგავად იბრძვის; ამ ბრძოლის ანარეკლი ემიგრაციასაც სწვდება და გვიჩვენებს ეროვნულ ზვირთთა იმ დიდ ცემას, რომელიც არ დადგრება, სანამ ეროვნული მეობა თავის საკუთარ კალაპოტს არ მოსძებნის.

სქართველოდან მოსული თვით ბოლშევიკური გაზეთები ჟურნალები და წიგნები, კიდევ უფრო მეტად კერძო წერილები, ყველა ერთად ამ მოვლენის დამამოწმებელი და დამადასტურებელია. ერთი იწერება: — სამი წელიწადია ტფილისში არა ვყოფილვარ; ეხლა ჩავედი და გავკვირდი: ქუჩებში ძველებურად რუსულს ველარ გაიგონებ, ქართული ბატონობსო“... მეტიც: სოფლიდან აქ პარიზში გვედავებიან და დარიგებას გვაძლევენ... დამახასიათებელია ამ მხრივ ერთი წერილი, რომელიც ერთ ემიგრანტს მოუვიდა. ამ უკანასკნელს მამა შემდეგსა სწერს: —

„ცოტას გენდური რატომ ქალბატონს ქართული წერა კითხვა არ ასწავლე ამთენ ხანს სახელმძღვანელო წიგნები თუ გინდა მომწერ და გამოგიგზავნი რუსთველის წიგნია გადათარგმნილი ინგლისურ ენაზე და წაიკითხოს და გეგებს ვინ ვართ ქართველები“.... ასე იწერება მამა,რომლსაც არც უნივერსიტეტი გაუთავებია, არც ქართული გიმნაზია, არამედ ყოფილა და არის უბრალო ქართველი და თუმცა რუსულის არა-მცოდნე, მაგრამ რუსულის დიდი მოყვარული და რუსეთის დიდი თაყვანისმცემელი. და მას ეს, რაც ეხლა მოსწერა შვილს, ძველად აზრადაც არ მოუვიდოდა!

ცხადია: შებრუნდა და გადატყდა რუსეთის-დროინდელი ფსიქოლოგია, და დამკვიდრდა წმინდა ეროვნული ქართული ფსიქოლოგია. „ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა“....

ახალი თაობანი ქართულ კულტურაზე იზრდებიან და თუ მათ ხელოვნურად და ძალად პირში აჩრიან კვლავ მარქსიზმ - ლენინიზმ - სტალინიზმს, — ეს ვერ დაახრჩობს იმ აღმავლობაში მყოფ ქართულ კულტურას, ასე ბრწყინვალედ რომ გაიშალა ეროვნული ბრძოლის ხანაში სწორედ ამ ეროვნულ ბრძოლის შედეგად. და ეს თაობანი, ქართული კულტურის ძენი, იმ წუთში, როცა მას მოეხსნება ძალით მიკრული მარქსისტული ნიღაბი, გახდებიან იმ დიდ რაზმებად, რომელთა დროშაზე „საქართველო უწინარეს ყოვლისა“ ეწერება. **ვიკ. ნოზაძე**

ჯერ ერი, მერმე რეჟიმი

ერთია, როდესაც მოღვაწე ხელს იღებს თავის მსოფლმხედველობაზე, მისი გადასინჯვისა და გადაფასების შედეგად. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კრიტიკულად და აქტიურად მოაზროვნე ადამიანთან, რომელიც განსაზღვრულ ისტორიულ მოვლენათა შეფასების დროს, თავის იდეოლოგიას ძირს უსინჯავს, სინამდვილეს აზმანებს ანუ როგორც იტყოდენ, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და თუ მისი მსოფლჭვრეტა ამ ცეცხლის გამძლე აღარ აღმოჩნდა, მას თავს ანებებს, ახალს ეძებს, ახალს ამუშავებს. — ასეთი პიროვნება, უსათუოდ გულწრფელი, სულიერად არის მომქმედი, მებრძოლი. ის თავის სულში დიდ აკტიურ ძალას ატარებს და ამ აქტივობას იგი ახალი ბრძოლებისათვის იყენებს.

მეორეა, როდესაც მოღვაწე უცვლელია თავის აზროვნებაში; მას არც წარსულის შესწავლის უნარი აქვს და არც იმდენი ძალა, რომ მოვლენათა დაფასების დროს თავის მსოფლმხედველობას გადაჰხედოს და მისი სიმაგრე-სიმტკიცე გამოარკვიოს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პასიურ ადამიანთან, ხავსმოკიდებულ პიროვნებასთან, რომელიც ყმაწვილობიდან გაზეპირებულ სიტყვებს კაჭკაჭივით არახუნებს და თუთიყუშივით გაჰკივის. ასეთი პირი არის სულიერად ძაბუნი, დახავსებული, უმოქმედო და არაფრის მაქნისი. ამგვარი ტიპიც გულწრფელია, მას ჰგონია, რომ ყველაფერი ისევ წესრიგზეა და ცვლას არ მოითხოვს; გულწრფელია, მაგრამ სულიერად დანაოჭებული, და თან დაობებული...

მესამეა, როდესაც მოღვაწე გრძნობს თავისი მსოფლმხედველობის სისუსტეს; გრძნობს, რომ ძველი შენობა აზროვნებისა დარღვეულია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს და მის შესაკეთებლად ახალახალ მასალას ეძებს. ვერც იმას ამბობს, რომ ცხოვრებამ არ გაამართლა მისი შეხედულება და მოქმედება, — ამის გამბედაობა მას არ გააჩნია; ვერც იმას ამბობს რომ შეცდომები ჩაიდინა, — თუმცა კარგად გრძნობს, რომ შეცდომებითაა სავსე მთელი მისი წარსული მოღვაწეობა, — ამართლებს თავგამოდებით მას, და ახალსაც ამბობს; არც ძველს უარჰყოფს, გამწარებით მას იცავს, და ახალსაც ჭადაგებს, რომელიც ძველისაგან არსებითად და სავსებით დაშორებულია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ან „ქარაფშუტა, ორთავიან და ორპირ“ ადამიანთან, ან დემაგოგთან და შარლატანთან.

ღმერთო, რჯული! ჩვენ არ გვაინტერესებს ვინმეს გაკიცხვა, გაქირდვა, აბუჩად აგდება, აუგის თქმა! ეს ხელოვნურ რეჟიმი, — შემდეგ ნაცია, ჩვენია პირველი, მეორეა შემარჯვენეთა ჯგუფების“...

ბევრი სხვა რამ არის კიდევ [illegible] წერილში უცნაური, გაუგებარი [illegible] ვნილი, მაგრამ ესეც საკმარისია, [illegible] კვირვებულიყო და ასე ეთქვა: —

„რად დასჭირდა ასეთი ნაციონალისტური საბარგულის აკიდება ნ. ჟორდანიას? მას ხომ კარგად მოეხსენება, რომ „სოციალიზმის და ნაციონალიზმის ერთ პარტიაში მოთავსება შეუძლებელია“, მისთვის ხომ უცხო არაა ფორმულა: „ჯერ ნაციონალური კითხვა მოვაწესრიგოთ, მერე სოციალურზე ვიფიქროთო, ჩვენ მიგვაჩნია ნაციონალიზმის ტიპიურ გამომხატველათ“-ო (იხ „თავის. აზრი“ № 35, 1915 წ.)

„ბრჭყალებში ჩასმული სიტყვები ეკუთვნის თვით ნ. ჟორდანიას და ვიმეორებთ, რად დასჭირდა მას თავის ადრინდელი რწმენის უკუგდება და სოციალიზმის დროშის და იდეოლოგიის ღალატი? ნაციონალისტების გულის მოსაგებად და მათი დახმარებით ეროვნული საკითხის მოგვარების გასაადვილებლად?

„გადაჭრით ვამბობთ, ჩვენ ამ იდეურ დაჩოქებას მას გულწრფელად ვაპატიებდით, რომ ამით მართლა ეროვნული საქმე კეთდებოდეს; მაგრამ აი რა მივიღეთ: მან უკუაგდო სოციალური პროგრამა ნაციის სახელით და სამაგიეროდ შერჩა ხელში პირადული „პროგრამა“ და მემარჯვენე წრეების დროშა. და თან უკვირს, რომ ეს უკანასკნელნი თავის დროშას მას არ ანებებენ, ამ იდეურ დაქვეითებისათვის ფეხს ქვეშ არ ეგებებიან.

„სოციალისტური პარტია ამ გზას ვერ გაყვება“...

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ბ. რ. არსენიძე ძველი, დახავსებული მარქსისტია და ამით თავიც მოაქვს, ხოლო ბ-ნი ჟორდანია როგორც უკვე 1900 წელში, აღნიშნეს, „მარქსისტი კი არა, პამპულაა მარქსისა, ყღარუნებით მორთულ კაბაში“!. მან ეს ყღარუნები წელს კვლავ გამოიტანა და ხმაურობა ასტეხა: — შეხედეთ, ჩვენ პირველ რიგში ერის საკითხს ვაყენებთ. მიყურე: — მეორე რიგში რეჟიმის საკითხსო! და ავიწყდება, განგებ არ იხსენებს. მალალ, თუ რას სწერდა იგი არამც თუ 1915 წელში, არამედ შარშან-წინ შარშან და გუშინ!

მაგრამ როგორ უნდა მოვექცეთ ბ. ნ. ჟორდანიას, რომელიც წამდაუწუმ ნიღაბს იცვლის, ახალ-ახალი ყღარუნებით ირთვება და იკაზმება და ყალბ ხმაურობასა სტეხს? მისდამი უნდობლობის გამოცხადება საკმარისი არ არის, — ნდობა მან დიდი ხანია დაჰკარგა, დაჰკარგა საქართველოს დაკარგვასთან ერთად! უფრო ადრეც, ეროვნულად მოაზროვნე ხალხში! და დღეს ევროპაში გადმოხვეწილი ეროვნული მთავრობის თავჯდომარე, რომელიც პარტიულ-ჯგუფურ ინტერესებს ვერასოდეს ასცილდა, რომელმაც დაარღვია და დაანგრია ეროვნული ფრონტი, სწორედ აღარაა იმისი ღირსი, რომ ყურადღების ნიშანი გახდეს, როდესაც იგი ჩვეულებისამებრ „ყღარუნებით მორთულ ახალ კაბაში“ გამოეწყობა და ხმაურობას ასტეხს...

ბ. ბებურიშვილი

ქართველ მომღერალთა გუნდი

ოცდახუთმეტი წლის წინად, თუ არ ვცდები, ქალაქ ქუთაისში გამოცხადდა კონცერტი იმერულ სიმღერებისა, - ძუკუ ლოლუა, ლომინ გუგუშვილი და სხვათა მონაწილეობით. კონცერტს ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო, მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო: — რა სიმღერაა, რა გალობაა, რაღაც ჭყავილი, სიტყვები არაა შიდ, და რაც არის, ისიც უაზრო, რაღაც ადამის დროისა და სხვა. ახალგაზრდობა, რომელთა რიცხვში მეც, თქვენი უმორჩილესი მონა გახლდით, ხმას ვერ იღებდა, რათგან ძუკუ ლოლუა ჩვენი ყაიდის კაცი იყო და თანაც მუსიკალურ კრიტიკოსებად ჩვენ არავინ მიგვიმჩნეედა. ბოშინდელი ინტელიგენცია, ჩვენ ჩოხიანებს, რაღაც ველურ ადამიანებად გვთვლიდა და ჩვენს აზრს აბა რა ფასი ექნებოდა! ეგრეთ-წოდებულ „განათლებულ“ საზოგადოებაში კი ვერავითარი მოწონება და თანაგრძნობა ვერ მოიპოვა ძუკუ ლოლუამ და მისმა გუნდმა; პირიქით, დაჰგმეს და გაკიცხეს. ასეთი აზრიც კი გამოითქვა, რომ აღსაშფოთებელია ლოთი ბიჭ-ბუჭების კონცერტით სცენაზე გამოსვლა ფულის მობოჭვის სურვილითო. მხოლოდ განსვენებული კირილე ლორთქიფანიძე გამოექომაგა ჩვენებურ სიმღერაგალობას, მაგრამ უფრო მედგრად დაიცვა ძუკუ ლოლუა ქბ. დარია ფაღავასამ, პატივცემულ და ცნობილ მექი ფაღავას მეუღლემ. დარია ფაღავასა იყო თვით ფაღავას ასული, აღზრდილი ქართულ მონასტერში, იცოდა მხოლოდ ქართული ენა, მაგრამ იცოდა ძლიერ კარგად; ზედმიწევნით შესწავლილი ჰქონდა ძველი და ახალი მწერლობა და ქართველი ერის ისტორია. ერთი სიტყვით, იყო ძვლებური მწიგნობარი ქალი. ქალბატონი დარია გაბედულად გამოესარჩლა გუნდს იქვე, თეატრში, ანტრაქტის დროს, შემდეგ საზოგადოებაში და პრესაშიც. მან გამართა დიდი ნადიმი, მოიწვია მთელი გუნდი, გარეშენიც და პატივისცემასთან ერთად უთხრა სიტყვა, გაამხნევა და გაათამამა.

ძუკუ ლოლუა იყო სიყრმიდანვე თურმე, როგორც მისხან გამიგონია, დიდათ მოყვარული სიმღერისა და ბავშობიდანვე იცოდა სიმღერები, ჩონგური, და ნიჭიერ ადამიანს ეადვილებოდა სიმღერების სწავლა-დამახსოვრება. დედას იგი მღვდლად უნდოდა აღეზარდა და ერთხანს დიაკვნადაც იყო, დასწერა კიდეც „დიაკვნის თავგადასავალი“, მაგრამ სადიაკვნოდ ვინ მოაცლიდა მხიარულს და ჩინებულ მომღერალს; არც თვითონ იყო განწყობილი და მალე მიატოვა. ქალაქ სოხუმში ქალაქის სამკითხველოს გამგედ დაინიშნა და იგი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მისი სანატრიონი ქართული გალობა იყო. მოაწყო გუნდი და გამართა კონცერტი სოხუმში, ოჩამჩირეში, და სოჭაში. სოჭაში გამართულმა კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა საგარაკოდ ჩამოსულ უცხო საზოგადოებაზე. ვიღაც თმაგაჩეჩილი, ორ-ორი რწყვილი სათვალებიანი ხალხი წამესიაო, — მითხრა ძუკუმ, — და გამომკითხეს: სადაურია ეგ სიმღერები, ვისგან გაქვთ გადმოღებული, რა დროისაა და ვინ არიან კომპოზიტორებიო; თურმე რუსები იყვნენ, კომპოზიტორები, მუსიკოსები; ეს ხალხი ხომ დარწმუნებული არიან და ჩვენც გვარწმუნებენ, რომ ქართველი და ყველაფერი ქართული ველურია; ამაზე პასუხი გავეცი და მეორე კონცერტი გამართეო. — როგორც მანვე გადმომცა, თურმე ვერ ბედავდა გურულ - მეგრულ - აბხაზურ სიმღერების თქმას; უფრო კახური სიმღერები სთქვა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ გურული და მეგრული ყანური, ხასანბეგურაი, კუჩხიბედნიერი, მეგრული ურმული, შოუნანა, ძალიან მოეწონათ და განმამეორებიესო, — მეორე კონცერტი უფრო მდიდარი იყო შინაარსით და თამამად და მხიარულად ჩატარდა; საზოგადოება აღტაცებული დარჩა და მრავალი ტაშით დაგვაჯილდოესო, — უხაროდა ძუკუს, — და მეც ბედნიერი ვიყავი, რომ ჩვენებურ სიმღერას გავამარჯვებინეო.

ძუკუ ლოლუა გულწრფელი და თავდადებული პატრიოტი იყო და განსაკუთრებით ქართული სიმღერა-გალობისა. სადაც კი მისწვდებოდა, ყოველგან შეეჩხირებოდა; ქუჩაში რომ მიდიოდა და დუქანში სადმე სიმღერას გაიგონებდა, გვერდს ვერ ჩაუვლიდა; შევიდოდა უეჭველად; თვითონ არ სვამდა ღვინოს, მაგრამ ჩაერეოდა, იმღერებდა, ამღერებდა, გაუსწორებდა, ასწავლიდა. —

ერთხელ დედას წამოჰყოლია სენაკში საქმეზე დეიას, რაღაც საქმის ქაღალდი სახლში დარჩენოდა და ძუკუ საღამოს მატარებელით, რომ საღამოსვე დაბრუნებულიყო, გაუგზავნია ქვალონში; უნდა დაბრუნებულიყო საბარგო მატარებელით როგორმე, რათგან სამგზავრო ბილეთი საათამდე არ იყო. — ჭალა-ფოთის ეკალონის მიდამოებში ბევრი შეშისმჭრელი მუშა გურულებია; საღამოს მოუყრიათ თავი რკინიგზის პირად და შვენიერ გურულ სიმღერებს ამობდენ თურმე, ძუკუმ რომელიღაც ღამის სიმღერას ერთ მუხლს აკლებდენ. ძუკუს ვერ მოუთმენია, გარეკია მათ, ის მუხლიც მიაჭატებინა, კარგად ასწავლა ეს სიმღერა და ისე გაიტაცა მათთან სიმღერამ, რომ ძატარებელი გამოეპარა, მეორე დილას დაგვიანებით რომ მივიდა დედასთან და უთხრა [illegible], დედამ თურმე დატუქსა, — შენ კრომანგულსა ხარ გადაყოლილიო!

ძუკუ სადაც არ უნდა ყოფილიყო, აღმოაჩენდა ვინმეს სიმღერის მცოდნეს; ერთხელ ნათვლაში მოვხვდით ერთად, მაგრამ ძუკუ მეტად ნაწყენი შეიქმნა, როცა გიტარაზე დასჭყივლეს რუსული რომანსები, რომელთა უმრავლესობაც ნაქურდალია და რუსულს ტყუილად ეძახიან. — გაიმართა ლხინი, ოღონდ როდესაც ყილ-ბილ-უ-ბაბუშკი მართლაც კარგი ხმებით და კარგათა სთქვეს, ძუკუ გაბრაზდა, სიტყვა გამოსთხოვა თამადას და საშინლად დაჰგმო და გაჰკიცხა ასეთი მოვლენა, — ჩვენებური სიმღერა-გალობის პატრონი ხალხი ამას უნდა მღეროდესო? იმ საღამოსვე აარჩია ქალები და ვაჟები, რომელთაც ხმა ჰქონდათ და მეორე დღესვე შეუდგა გუნდის შედგენას, მომზადებას. დავაარსეთ ქართულ-სიმღერა გალობის მოყვარულთა საზოგადოება, აიღო შვებულება სოხუმის ქალაქის თვითმართველობისაგან, დარჩა სენაკში და სულ ძოკლე ხანში ფრიად საამური კონცერტი გამართა.ის იყო და ის: მას შემდეგ სენაკსა და მის არემარეს მოედვა ჩვენებური სიმღერები მთელ ახალგაზდობაში და ყილ-ბილ-ბაბუშკის ხსენებაც გაჰქრა. შემდეგ ძუკუმ გასწია ტფილის. ფილარმონიულ საზოგადოებისათვის უნდოდა პატეფონი გამოერთვა, მაგრამ ვერ მისცეს. ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზ ლეონიდეს ვსთხოვეთ; წამხდარი პატეფონი ჰქონდა, ჯერ კიდევ მისი ბიძის, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მიერ გალობის აღსაბეჭდათ შეძენილი. მღვდელმთავარმა სიამოვნებით გვათხოვა; გავაკეთებინეთ ტფილისში და ოდიშში კარგი მომღერლების ნათქვამი აღვბეჭდეთ. დარწმუნებული ვარ იმას ძუკუ მოუვლიდა და იგი საიმედო ხელში იქნება.

იმ ხანებში გავიცანი კირილე პაჭკორია, ძუკუს გაზრდილი, ძალიან კარგი ხმის პატრონი და მცოდნე ძველი სიმღერებისა. აი ეს პაჭკორია, დღეს რომ ქართულ გუნდს ლოტბარობს და მოსკოვში მსმენელნი რომ აღტაცებაში მოიყვანა. — ერთმა უცხოელმა მითხრა: აქ, პარიზში რადიოთი მოვისმინე ქართული სიმღერები მოსკოვიდან გადმოცემულიო, და განცვიფრებულია ამ სიმღერების შვენიერებით და კარგი ხმებითაც. — ასე გადიდდა ის პატარა საქმე, რომელიც პატარა კაცმა, ძუკუ ლოლუამ დაიწყო და რომელსაც ის ემსახურებოდა დიდის სიყვარულით ,დიდის მონდომებით, წმიდა ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით. — ღმერთს ექმნას პაჭკორიასა და სხვებს გაეგრძელებინოთ ეს საქმე და მიეყვანოთ სათანადო სიმაღლემდე.

ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია უმდიდრესი ქართული საეკლესიო გალობა. მე ვიცი, რომ იმერეთში განთქმული მგალობელი დიტო ჭალაგანიძე, მოხუცებისას დაბრმავდა და რათგან მისმა შვილმა არ მოისურვა მამისაგან ესწავლა, განეგრძო და განევითარებინა გალობა, ბრმა მოხუცი გაეპარა ოჯახს და სოხუმში ძუკუ ლოლუასთან მივიდა და უთხრა: — შვილო, ბევრი საგალობლები ჩემს თვალწინ გაჰქრა და ისიც, რაც მე ვიცი, სამარეში თან მიმაქვსო; ძლისპირები ვიცი ათასამდე და შენ გაქვს ნიჭი, იცი ზოგი რამ და ისწავლე, დაიმახსოვრე და შენ მაინც გადაეცი მომავალსაო. — ძუკუ ცრემლებით მეუბნებოდა — აბა რა უნდა მექმნა? სად მქონდა საშუალება? სად იყო კაცი, რომელსაც მოცალეობაც ჰქონოდა და სურვილიც ხანგრძლივი შრომით შეესწავლა რთული საგალობლებიო! მხოლოდ ქრისტე აღსდგა ოცდა-ათ-ნაირი მათქმევინა, ძლისპირებიც ვისწავლე, რამდენიც შემეძლო, მაგრამ რა ვქნა, რომ სახსარი არა მაქვს ვისმეს ვასწავლო ან ფირფიტებზე აღვბეჭდოო.

ვაი თუ ეხლა, როდესაც თვით ქართული ეკლესია განსაცდელშია, ქართული გალობისათვის აღარავინ იწუხებს თავს! ერთ დიდ ეროვნულ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ასეთი განძის დაღუპვა, როგორიც არის ქართველი ხალხის მიერ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი საამური და ტკბილი, დინჯი, სასოების მომგვრელი საეკლესიო გალობა.

ვიქონიოთ იმედი, რომ ეტნოგრაფიული საზოგადოება არ უგულებელ ჰყოფს ქართული ხელოვნების ამ მხარეს არა მარტო საეკლესიო, არამედ ეროვნული ხელოვნების და მუსიკის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ ორიოდე ცოცხალი მცოდნე პირია, რომელთა საშუალებით უნდა აღდგენილ იქმნას საეკლესიო გალობა და შეტანილი ქართველი ერის კულტურის სალაროში.

ნ. დადიანი

ქართული გალობა და ცეკვა უცხოეთში

საქართველოს მოცეკვავენი ლონდონში

— ქართული ჯგუფი, როგორც მთელი საბჭოთა დელეგაცია, — სთქვა დელეგაციის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დამსახურებულმა მსახიობმა ვიკტორინა კრიგერმა, — გამოდიოდა არა მარტო ფესტივალზე ალბერტ-ჰოლის დარბაზში, არამედ ლონდონის სხვადასხვა პარკში. ქართული ჯგუფის გამოსვლებმა საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონის აუდიტორიაზე.

როდესაც ქართული ცეკვა დაიწყო, ალბერტ-ჰოლის დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მაყურებლები ისე ისხდენ, თითქო ჰიპნოზით არიან შეპყრობილნიო. შემდეგ კი ისეთი მქუხარე ოვაცია ატყდა, რომ გეგონებოდათ, ალბერტ-ჰოლის კედლები ვერ გაუძლებსო. — ტაშს უკრავდა ყველა 10 ათასი კაცი, რომლებიც ამ საღამოს ფესტივალს დაესწრენ. ინგლისელები გააოცა ქართველ მოცეკვავეთა ტემპერამენტმა და გრაციამ.

უდიდესი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონის აუდიტორიაზე ძველებურმა ლაშქრულმა ცეკვამ „ხორუმ“-მა, რომელიც შეასრულა სამმა ნიჭიერმა მოცეკვავემ: — მიხეილ ჩოჩეშვილმა, ანტონ ჩიხლაძემ და სერგო ნონიევმა.

მქუხარე ოვაციები გამოიწვია ვლადიმერ ხეთაგურის და ილიკო სუხიშვილის ცეკვამ.

საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეთა პატივსაცემად გამართულ ბალზე სპეციალური მედალები მიეცათ საბჭოთა დელეგაციის ქართულ და სხვა ჯგუფებს.

ქართ. „კომუნისტი“ 5 აგვისტო.

ხალხურ მომღერალთა სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდა განათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მიზანი

იხგრევა ძველი მსოფლიო, იხგრევა მეტადრე ის პოლიტიკურ-ეკონომიური პრინციპები, რომელზეც მეცხრამეტე საუკუნე იყო დამყარებული: დემოკრატიზმი, მარქსიზმი, ლიბერალური ეკონომიკა და სხვა. შენდება ახალი მსოფლიო, რომლის სახელწოდება გახლავს **„ინტეგრალური ნაციონალიზმი“**. ამ დიდ გარდაქმნას განიცდიან ყველა ერები, და რასაკვირველია საქართველოც, ვიიაითგან თავისი დასაბამითგანვე ჩვენი სამშობლო შედიოდა კულტუროსან ერების ცივილიზაციის ორბიტაში. დღეს ბარბაროსმა და მარქსისტულმა ოუსეთმა იგი ამ ორბიტათგან გამოიყვანა. მაგრამ ეს დროებითი და მალითადი მოვლენაა. რასაკვირველია, შესაძლებლობის წამსვე საქართველო ბუნებრივად გახდება კულტუროსანი მსოფლიოს წევრად და ნის აღორძინების საქმეში, როგორც ყოველთვის, ეხლაც მიიღებს აქტიურ და მხურვალე მონაწილეობას.

ცივილიზაცია წავიდა ეროვნული და არა საკაცობრიო გზით, როგორც ეს დემოკრატებს და სოციალისტებს ეგონათ. რათგან ცივილიზაცია რეალური მოვლენაა და რასაკვირველია, რეალურ ფაქტორითგან — ერითგან — ხოლო კაცობრიობა განყენებული, ფიქტიური შეგნებაა. წარმოშობილი და რეალურ მოვლენაზე დამყარებული. ერი კი ცხოვრების უდიდესი რეალობაა — მოვლენა ბუნების კანონებისა ისეთივე, როგორც თვით ადამიანი. ცივილიზაცია ყოველთვის ეროვნული გზით მიდიოდა და მიდის, არის რა წარმოშობილი თვით ერისვე მიერ. სხვა წყარო ცივილიზაციის წარმოშობისა არც არსებობს და მაშასადამე არც სხვა გზა არსებობს მისთვის. ხოლო დღეს თანამედროვე ცხოვრების გართულებაში, ამ ცივილიზაციის დასაცავად და მის წარმატებისათვის აუცილებელი შეიქმნა სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ ფორმებსაც სრულ ეროვნული სახე მიეღოთ. **ესე იგი დაარსებულიყო ეროვნული სახელმწიფო.** აი რატომ მიეცა დღევანდელი ცივილიზაციის სახეს უფრო მკაფიო, უფრო, ასე ვთქვათ, ხელშესახები გამოსახულება, უფრო კონკრეტული ფორმა. — ჩვენმა მოძრაობამ ადრე აუღო ალღო ცხოვრების შინაარს და მტკიცედ დაადგა ამ გზას.

თეთრი გიორგი იარსებებს სანამ იარსებებს საქართველო. ჩვენი ძალა სხვათა შორის იმაშიცაა, რომ ჩვენს იდეალს, ჩვენს შემოქმედებას საბოლოო წერტილს არ უსვამს. ჩვენი ეროვნული ერთობა ეროვნული მოძრაობა არის. დამოუკიდებელ საქართველოში იგი გახდება თვით ხალხის სინონიმად ვინაითგან შეიცავს ქართველი ხალხის მთელ შემადგენლობას — გადაგვარებულთა გამოკლებით. — ამიტომ ჩვენ ვიქნით მუდამ ერთან ერთად. ჩვენმა დარაზმულობამ უწყის, რომ ცხოვრება მუდმივი ბრძოლის, დაუშრეტელი შრომის. წინსვლა არის მისი ბუნებრივი სტიქიონი. ჩვენმა დარაზმულობამ იცის ეს, თანაც იგი შვილია დღევანდელი ცხოვრების სინამდვილის, წარმოშობილი ეროვნული გამოღვიძების მომენტში, ამიტომ მისი ძირითადი ხასიათი, მისი ბუნება და მისი ეროვნული დანიშნულება არის მუდმივი მისწრაფება ახალი ცხოვრებისაკენ. თეთრი გიორგი მუდამ იქნება ხელმძღვანელი ქართვ. ერის ევოლუციის და მისი ახალგაზოდობა მხნე და გულითადი წინასპა ამ განუწყვეტელი ეროვნული წინსვლისა.

მარქსმა თავის „კაპიტალ“-ში თვითვე გაუთხარა სამარე ძარქსიზმს, მით რომ მან კომუნიზმის განხორციელება ადამიანის საბოლოო იდეალად, საბოლოო მიზნად დასახა. დღეს ეს იდეალი განხორციელებულია რუსეთში და მით მარქსიზმს რუსეთშივე გაეთხარა პირველი სამარე.

ჩვენი იდეალი დაუსრულებელია. დღეს ჩვენ ვისახავთ მხოლოდ ჩვენი იდეის პირველ პერსპექტივას. იგია მხოლოდ პირველი ეტაპი ჩვენი შემოქმედების დაუსრულებელ გზაზე. ამ გზით ჩვენ გავყვებით ცხოვრების ცვლილებებს, ცივილიზაციის ევოლუციას და არ გავჩერდებით არავითარი რეფორმების წინაშე, თუ კი მას ეროვნული ინტერესები მოითხოვენ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის პოლიტიკური და ეკონომიური სისტემა, რომელიც აუცილებელია ერისათვის ჩვენს ხანაში და რომლისთვისაც დღეს ვიბრძვით, დაძველებული და დრომოჭმული იქნება იმ დროს, როცა რადიოს შემოკლებული ტალღები გადასცემენ ელექტრონის ენერგიას და კოსმიურ სივრცეში შესაძლებელი გახდება ინტერპლანეტარული მოგზაურობა. რა იქნება საჭირო მაშინდელი საქართველოისათვის? ამას იმდროინდელი თ. გიორგიელები გამოირკვევენ და სისრულეშიც მოიყვანებენ.

ამნაირად თ. გ. პროგრესიული მოძრაობაა და ესაა ნამდვილი ხერხემალი და კვინტესენცია ჩვენი ეროვნული იდეალისა. ჩვენ გვინდა ქართველი ერი მუდამ მიისწრაფოდეს ახალი ცხოვრებისაკენ, რათგან სწორედ ამ პროგრესითგანაა მისი სიცოცხლის ძალა. ერი ან მიდის წინ ყოველ მხრივ, კულტურულად თუ პოლიტიკურად, ან კვდება.

ეროვნული ერთობის დარაზმულობა დაამყარებს ეროვნულ სახელმწიფოს და ეროვნულ ეკონომიკას. რა არის ეროვნული ეკონომიკა? უპირველესად ყოვლისა ეროვნულ ეკონომიკას, განსხვავებით ლიბერალური ეკონომიკითგან, აქვს განსაზღვრული მიზნები. ეს მიზნები წმინდა ეროვნულია. ხოლო რათა შესაძლებელი იყოს ეროვნული მიზნების დასახვა და მათი მიხწევა, საჭიროა ეკონომიკას სახელმწიფო მართავდეს განსაზღვრული და საგანგებო დაწესებულებათა საშუალებით. ეს აუცილებელია კიდევ სხვა მოსაზრებით. დღევანდელი ეკონომიკა აღარაა მეცხრამეტე საუკუნის შედარებით, მარტივი ეკონომიკა, რომლის ბუნებას მარქსი სწავლობდა ინგლისში და რომლითგან გამოიყვანა ცნობილი ყალბი სინთეზები. დღევანდელი ეკონომიკა არის უზარმაზარი, რთული და ცვალებადი ფაქტორი, რომლის წიაღში ლიბერალიზმმა შეიტანა მთელი ანარქია. ამასთან იგი დამყარებულია დიდ უთანასწორობაზე, რომელს ადამიანის დღევანდელი შეგნება სამართლიანობაზე ვეღარ ეგუება. ამიტომ რათა ეკონომიკა იყოს ეროვნულად მიზანშეწონილი, ადამიანთა ნივთიერი ურთი ერთობა დამყარებული სამართლიანობაზე, დისციპლინაში მოყვანილი და მოწესრიგებული, საჭიროა ამას აწესრიგებდეს სახელმწიფო. აი რას ეწოდება ეროვნული ეკონომიკა.

თეთრგიორგული სახელმწიფო იქნება შრომის სახელმწიფო, რომლის წიაღში ყოველი პირი უნდა ეწეოდეს რაიმე სასარგებლო შრომას. თვით შრომა იქნება მიმართული ეროვნულ საერთო მიზნების, საერთო ინტერესებისაკენ. კერძო საკუთრებას მიეცემა სოციალური ხასიათი. — დგება ახალი ხანა ცივილიზაციისა. ინტეგრალური ნაციონალიზმის ხანა. როგორც ვერ დარჩება მუდმივი წყვდიადი და ღამის დალევას უნდა აუცილებლად განთიადი მოჰყვეს, აგრეთვე კულტუროსან ხალხთა დღევანდელ ეროვნულ განვითარებას მოჰყვება ხანა ინტეგრალური ნაციონალიზმისა. მის ძლევამოსილ მსვლელობას ვერაფერი ვეღარ შეაჩერებს და მაშასადამე ვმრც თ. გ. იდეის გამარჯვებას გადაეღობება რაიმე საქართველოში. ჩვენზედაა მხოლოდ დამოკიდებული თუ რამდენად მტკიცედ და ძლიერად განვახორციელებთ ჩვენს უზენაეს იდეალს.

ლეო კერესელიძე

გული

განიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა.
ჩემმა მშობელმა ჩემი გული გულთან ატარა.
რო დავიბადე და ვიგრძენი მშობელი დედა.
უმანკო გულში დედის გულმა ღრმად ჩაიხედა.
დღემ მოგცა ხილვა სინათლისა; წაგართვა ღამემ.
მზემ სხარული გიანდერძა და სევდა მთვარემ.
ძაგრამ იმ მიწამ, შვენიერმა, მე რომ აღმზარდა,
მითხარ, რა მოგცა, ჩემო გულო, ცრემლების გარდა?
ჩვენ გვყავდა სატრფო; ძმად-ნაფიცი და მეგობარი,
მაგრამ მიყვარდა მხოლოდ შენთან მე საუბარი.
ჩემო პატარა, შენზე უკეთ არავინ იცის
გრძელი ზღაპარი სევდიანი მშობლიურ მიწის.
და ერის სევდა, ერის ცრემლი, ვით ცხელი ტყვია
მე დამაქვს გულით და ჭრილობა მძიმე მატყვია;
და ვერვინ ვპოვე, რომ განბანოს სათუთად წყლული,
მაგრამ მაინც ძგერს ძველებურად პატარა გული.
ოჰ, ხშირად მიმძიმს დაწყლულებულ გულის ტარება!
მაგრამ ჯვარცმაში არის ოხვრაც და ნეტარება.
რით გადავუხდი ჩემს მეგობარს ესოდენ ამაგს,
როს მძიმე ჯვარი გოლგოთასი მე რწმენით დამაქვს.
განიერ მკერდში გული მიცემს, გული პატარა!
მთელი სამყარო მან სიმღერით შემომატარა.
იმღერე გულო, დაკარგულო უცხო მხარეში,
რომ ჩავესვენოთ მზის დიდებით ბნელ სამარეში!
იტყვიან: მოკვდა. იქცა მიწად. მაგრამ ეს გული
იცხოვრებს მუდამ, ერის გულში გადანერგული.

ს. ბერეჟიანი

ლების სახალხო კომისარიატთან არსებული სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით. გუნდმა ორთვენახევრის განმავლობაში 30-მდე კონცერტი გამართა მოსკოვსა დალენინგრადში. — გუნდი ტფილისიდან გაემგზავრა 30 ივნისს. პირველი მისი გამოსვლები მოსკოვში მოეწყო გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც 12 კონცერტი გაიმართა. — შემდეგ გუნდი მიიწვიეს მაქსიმ გორკის აგარაკზე, სადაც მოეწყო კონცერტი. იმ დროს მ. გორკისთან სტუმრად მყოფ რომენ როლანისათვის და სხ. — რომენ როლანს, რომელიც გარდა იმისა, რომ დიდი მწერალია, იმავე დროს მუსიკის დიდი მცოდნეც არს, ძალიან მოეწონა გუნდის სიმღერები. მან გამოსთქვა აზრი რომ ზედმეტი არ იქნება მოეწყოს გუნდის გასტროლები საზღვარგარეთ, კერძოდ საფრანგეთსა და იტალიაშიო. — გუნდმა კონცერტი გამართა აგრეთვე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკთა კლუბში, სადაც 2.500 კაცი დაესწრო. — შემდეგ გუნდი მიიწვიეს გრამაფონის ფირფიტების ფაბრიკაში, სადაც ფირფიტებზე გადაიღეს 32 სიმღერა. რვა ქართული სიმღერა ჩასწერეს აგრეთვე „ინტორგკინოში“. — 5 აგვისტოს გუნდი მიიწვიეს კრემლში, სადაც კონცერტს დაესწრენ საკ. კ. პ. ც. კ. პოლიტბიუროს წევრები სტალინის მეთაურობით. — 7 აგვისტოს გუნდი გამოვიდა კომინტერნის კონგრესზე. — ლენინგრადში მოეწყო 9 კონცერტი.... და სხვა.....

ეთნოგრაფიული გუნდი 35 წელიწადია რაც არსებობს. პირველად მას ხელმძღვანელობდა ხალხური მომღერალი ძუკუ ლოლუა, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში კი გუნდი მუშაობს კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით. — პირველ ხანებში გუნდი ასრულებდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს სიმღერებს; ეხლა მის რეპერტუარში შედის საქართველოს ყველა კუთხის სიმღერები — გურული, კახური, აფხაზური, მეგრული, იმერული და რაჭული. — გუნდში შედიან კახეთის ცნობილი მომღერალი მიხა ჯიღაური თავისი ჯგუფით და გურიის ცნობილი მომღერლები ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართ. „კომ“.

მეჩონგურეთა გასტროლები ბაქოში

საქ. განათლების კომისარიატთანარსებულმა მეჩონგურეთა ანსაბლმა ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით მთელი რიგი გასტროლები ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რაიონში. — შემდეგ იგი ბაქოში მიიწვიეს, სადაც მან გამართა 7 კონცერტი.სხვათა შორის კონცერტს დაესწრენ ცნობილი ევროპ. მუსიკოსები ეფრემ ციმბალისტ და კომპოზიტორი ს. პროკოფიევი, რომელნიც გაკვირვებული დარჩენ ქართული სახალხო სიმღერის სიმდიდრით და ანსამბლის შესრულების მაღალი ხარისხით....

„კომუნისტი“

საქართველოს ეკონომიური ვითარება

ბოლშევიკური გაზეთებიდან

⁂ ჩვენი ცემენტის მრეწველობის გიგანტი — კასპის ქარხანა ყოველდღე უამრავ ნედლეულს ჰყლაპავს: 557 ტონა კირქვა, 109 ტ. თიხა, 10 ტ. ალებასტრი, 3,8 ტ. თუზამის ფერფლი, 132ტ. ქვანახშირი — ასეთია მისი დღიური ნორმა. — ამის შედეგად ქარხანა იძლევა 388,2 ტონა ცემენტს, უფრო მარტივად: ყოველ წუთში ღუმელიდან ერთი კასრი ცემენტი გამოდის. — ნახევარი წლის საწარმო დავალება კასპის ქარხანამ ვერ შეასრულა. გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა დიდმა გაცდენამ. ქარხანა გაცდა 1054 საათს; ნახშირის უქონლობის გამო — 779 საათს, ელდენის უქონლობის გამო — 9 და ნედლეულის უქონლობის გამო — 112 საათს! დანარჩენი მოდის მიმდინარე და კაპიტალურ რემონტებზე.

⁂ მიუხედავათ სისტემის მძიმე ფიზიკური მდგომარეობისა, საქ. სარეწაო კავშირმა, გადამწყვეტ ზომების მიღებით, დღიდან მისი არსებობისა, პირველად შეასრულა მიმდინარე ნახევარი წლის გეგმა.

⁂ ჩაის ფოთლის კრეფაში ცხაკაიას რაიონს უკანასკნელი ადგილი უჭირავს.. კლიმატიურმა პირობებმა არ მოგვცა საშუალებაო!. ჯერ კოკისპირული წვიმები, შემდეგ სეტყვა, ცხელი ქარი, ბოლოს გვალვა.. ამან შეამცირა მოსავალიო... ვიწყებთ შემოწმებას.. და ჩაის პლანტაციის პირველივე ნაკვეთი ყირაზე აყენებს რაიონის ხელმძღვანელ ამხანაგებია მტკიცებას ძაზე, რომ ყველაფერში დანაშავეა .... ბუნება.....! ჩაის მრავალ კოლმეურნეობაში მუშახელი არ არის მთლიანად გამოყენებული; ერთში 48 წევრია და უმუშავნია მხოლოდ 18 კაცს. სოფელში როდესაც ქალებს არ ეცალათ, სოფ. ეკის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში სამუშაო დღეს ყოველდღიურად აცდენდა ათეული კაცი!

⁂ ჩაის სამუშაოების და განსაკუთრებით ფოთლის კრეფის მიმდინარეობაზე ცუდ გავლენას ახდენს მეჩაეთა შრომის ანაზღაურების მოუწესრიგებლობა. ჩაის კრეფის დაწყებიდან შრომადღეების ანგარიშში უნდა დაერიგებინათ 7—10ჯერ, ფული კი რიგდებოდა 1—2 თვე დაგვიანებით.

⁂ მახარაძის რაიონმა ჩვენს ქვეყანას 279387 კილოგრამი ჩაი დააკლო მაის-ივნისში. საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს 280305 კილო ჩაი, ხოლო კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 1.079.776 კილო. რაიონის ხელმძღვანელი ამხანაგები ამ ჩამორჩენას უამინდობას აბრალებენ, მაგრამ ყველაფერი რომ გვალვას დავაბრალოთ, ეს განგებ თვალის დახუჭვა იქნებოდა! ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი გვალვა და უამინდობა კი არაა, არამედ შრომის ცუდი ორგანიზაციაა, ის ადამიანებია, რომელთაც ვერ დარაზმეს მასები ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესასრულებლად.

⁂ ნატანების კოლმეურნეობაში, სადაც 900 შრომისუნარიანი ქალი და კაცია და პარტიის 48 წევრი მუშაობს, დღეში ჩაის კრეფაზე საშუალოდ მხოლოდ 400 მუშა გამოდიოდა. ცხადია, ეს კოლმეურნეობა გეგმას ვერ შეასრულებდა. ასეთი მდგომარეობაა საბჭოთა მეურნეობებშიც და სხვა...

⁂ სოფ. ქვეხობნის კოლმეურნეობას ჩაის ფოთლისათვის აო აქვს საეციალური საკრეფი კალათები, ფოთლის გადასაზიდი გოდრები და ხეირიანი სასწორი! გოდრების უქონლობის გამო მკრეფავებს უხდება ლოდინი, სცდებიან, სასწორი წონაში სტყუის! მკრეფავები უკმაყოფილონი!

⁂ ჩაის რაიონის ბოლშევიკებო, ღირსეულად ჩააბარეთ გამოცდა!... საჭიროა ჩაის კრეფის ტემპების გაძლიერება!

⁂ საძარცხვინო ჩამორჩენა თავის აღებაში! .... ყოველივე ამის მეძდეგ, რა ფასი ექნება რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა წუწუნს იმის შესახებ, თითქოს ბალახი არ ძოვიდა, გვალვა იყო, გადაიწვა და სხვა! — თიბვაში საძარცხვინო ჩამორჩენას გვიჩვენებენ: ოსეთის, გორის, ახალციხის, კასპის, საგარეჯოს, გურჯაანის, ყარაის, ბორჩალოს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ნაშურის, და ხსვა და სხ.

⁂ ტყიბულმა თავი უხდა დაახწიოს ჩამორჩენას! მას შემდეგ, რაც ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელობა მოხსნილ იქნა მუშაობის ჩაშლისათვის, რაც ნახშირია ამოღების და შრომის ნაყოფიერების 7 თვის გეგმის მკვეთრ შეუსრულებლობასა, მაღაროების უმსგავსო მდგომარეობამდე მიყვანასა, შრომის და აღრიცხვის ცუდათ დაყენებაში გამოიხატებოდა, ტყიბულის მაღაროების მუშაობაში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. ტრესტის ახალმა ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები მუშახელის უკეთ განაწილებისა და ნახშირის ნაკრიანობის დამტკიცებულ სტანდარტამდე დასაყვანად.

⁂ ბათუმის რაიონში ძოწიხავე სასოფლო საბჭოებთან გვერდით არიან ჩამორჩენილი საბჭოებიც, რომლებიც საგზაო მშენებლობას მეორეხარისხოვანად სთვლიან. — უნდა აღინიშნოს, რომ „აჭარგზატრესტი“ არა დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს რაიონებს... ძველი ხიდი დაანგრიეს, ხოლო ახალი ხიდის აგება არ დაწყებულა, ვინაიდან მისთვის დანიშნული თანხა მან არადანიშნულებისამებრ გამოიყენა.!

⁂ წელს ორდენოსანმა საქართველომ პარკის დამზადების გეგმა 102 პროცენტით შეასრულა: 25.000 ცენტნერ აბრეშუმის პარკის ნაცვლად დამზადებულ იქმნა 25.501 ცენტნერი პარკი. საკონკურსო კომისიამ სხვა მოწინავე რაიონებს შორის განსაკუთრებით აღნიშნა ჩოხატაურის რაიონის წარმატება, რომელმაც შარშან პირველობისათვის რესპუბლიკის გარდამავალი დროშა მიიღო..

⁂ როდის მიიღებენ ხელფასს? ტფილისის საგარეუბნო კურორტების (კოჯორი, მანგლისი, კიკეთი) მუშა-მოსამსახურეებს სამი თვის ხელფასი არ მიუღიათ. ხელფასი არ მიუღიათ აგრეთვე იმ სეზონურ მუშებს, რომელნიც აგარაკების შეკეთებასა და კურორტების [illegible]ებაზე მუშაობდენ.

⁂ ცენტრალური კომიტეტი ავალებს ყველას : ფხიზელი ყურადღება მიაქციონ მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებას და ხანძრისაგან აღებული მოსავლის ფხიზლად დაცვას. დატაცებისა და კერძოდ ხანძრისაგან ნათესებისა და მოსავლის დაცვა მეტად აქტუალური საკითხია. სასოფლო მეურნეობაში ცეცხლის გაჩენა ხშირია და ზარალი დიდი. ცეცხლის გაჩენის უმთავრესი მიზეზია დაუდევრობა - გაუთრეფხილებლობა და კლასობრივი მტრების მიერ ცეცხლწაკიდების შემთხვევები...

⁂ აიკრძალოს კარტოფილის საკოლმეურნეო და ინდივიდუალური საგლეხო ვაჭრობა ქალაქებისა და სოფლების ბაზრებზე და რკინისგზის სადგურებზე და ნავთსადგურებზე. კარტოფილი გაიყიდოს მხოლოდ მას ძალდეგ, რაც მთლად საქართველოს სსრ-ში მესრულებული იქნება სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების წლიური გეგმა და დაგროვილი იქნება სათესლე და სადაზღვეო ფონდები.

⁂ ამერიკიდან გამოწერილია 20 ტონა ტუნგოს ნაყოფი, რომლიდანაც მიღებული იქნება 1 მილიონ 500 ათასამდე ნერგი. ტუნგოს ზეთი მეტად ძვირფასია და ამ ზეთის მაქსიმალური რაოდენობით მიღებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. 1936 წ. გაშენებული უნდა იქმნეს ტუნგო სამი ათას 250 ჰექტარზე.

⁂ რიონის ახალ კალაპოტში გადაყვანისათვის მუშაობის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 97 პროც. რიონის ახალ კალაპოტში გადაყვანის მიზანია ქ. ფოთის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, მალარიის ლიკვიდაცია ფოთის უბანში და ნავთსადგურის ტერიტორიის გაფართოება.

⁂ ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში გაიხსნა ხალიჩების დამამზადებელი სააქრო. ამ ჟამად მუშაობს ერთი დანგა.

⁂ საქართველოს საკონსერვო ტრესტი და საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სახ. კომ. სანიტარული ინსპექცია ქ. გორის საკონსერვო ქარხანაში აწყობენ ქიმიურ-ბაქტეოროლოგიურ ლაბორატორიას ნედლეულის და მზა პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად.

⁂ ტფილისის ქალალდის ფაბრიკა, რომელიც პირველი საწარმოოა ქალალდისა ამიერკავკასიაში, ამუშავების პერიოდში შევიდა. პირველ ხანაში ფაბრიკა დააამზადებს სახვეე ქალალდს თამბაქოს მრეწველობისათვის.

⁂ წელს კოლხეთმშენი საექსპლოატაციოდ გადასცემს კოლხეთის დაბლობების პირველ ამოშრობილ ძასივს. ეს ძასივი შემდეგია: ტეხურ-ალაზის 1800 ჰექტარი ფართობი, ცივა-ტეხურისა — 2.500 ჰექტ.; ქალალდიდის აგარაკის ქვალონის უბანი — 6.000 ჰექტ.; ლანჩხუთის — ჯაპანა — 400 ჰექტ. და სუფსა - ნატანებისა — 1.300 ჰ. სულ 1935 წ. კოლხეთმშენი საექსპლოატაციოდ გადასცემს 12.000 ჰექტარ ამოშრობილ ფართობს.

⁂ სოფ. ხობში შესდგა მთავრობის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ქალადიდის სატყეო აგარაკის დაშრობილ მიწებზე ხობის რაიონიდან 150 მეურნეობის გადასახლების საკითხი.

⁂ სოხუმის ქალაქის ბაღი ახორციელებს საინტერესო ცდას თვითმფრინავით მოსკოვში ყვავილების გადაზიდვისათვის. უკვე გაიგზავნა 700 კილოგრამი ყვავილები.

⁂ წყალტუბოში და შოვში მიმავალ დამსვენებელთა უკეთესი მომსახურებისათვის მიიღეს 6 ახალი დამატებითი ავტობუსი.

⁂ ქუთაისში დამთავრდა დიდი რკინაბეტონის საპარაშუტო კოშკის აგება. ის ერთი უმაღლესი კოშკია ამიერკავკასიაში, მისი სიმაღლეა43 მეტრი. კოშკი აგებულია დათეშიძის გორაზე.

⁂ ტფილისის მთელმა რიგმა საწარმოებმა ივლისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. სპილენძის ქარხანამ, აბრეშუმის საქსოვმა ფაბრიკამ. ამ უკანაეკნელმა ჯილდოთ გარდამავალი დროშა მიიღო.

⁂ ბორჯომის რაიონის სოფ. დვირის საბჭო აშენებს ჰიდრო-ელსადგურს მდინარე დვირულაზე - 110 ცხ. ძალა

⁂ აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში აღმოაჩინეს ტყვიათუთიის იშვიათად მდიდარი საბადოები.

⁂ სამეცნიერო ექსპედიციამ სვანეთში აღმოაჩინა მთელი რიგი მადნები, მათ შორის ტყვიის და სულემის გამოსავალი კვარცის ძარღვებში, პირიტის საბადოები, ოქრო, დარიშხანი, მარმარილო და სხვა.

⁂ რა აინტერესებთ ყველაზე მეტად კოლმეურნეებს? — სწერს „კომუნისტის“ კორესპონდენტი— : შინაპარტიული, საკოლმეურნეო საკითხები და პოლიტიკური მდგომარეობა საზღვარგარეთ. აი კოლმეურნეების შეკითხვები: — როგორ უყურებს ამერიკა გერმანიაში სამხედრო ბეგარის შემოღებას? — ჩაერევა თუ არა ამერიკა მსოფლიო ომში? : გერმანიაში ფაშიზმია, იტალიაშიც; როგორი დამოკიდებულება აქვთ ამ ორ ფაშისტურ ქვეყანას — პოლონეთ-გერმანიის შეთანხმების მიზანი? — როგორი ურთიერთობა აქვთ იაპონიასა და გერმანიას?!...

⁂ ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის ტერიტორიის გასამწვანებლად წელს დიდი მუშაობა იყო. გაშენებულია სუბტროპიკული მცენარეები: გიმალაი, ჰელიოტროპი, ძელქვა და სხ. მთავარი ქუჩის გასწვრივ ხეივნებს შუა დარგულია მრავალფეროვანი ყვავილები. თვალსაჩინო ადგილებზე გაშენებულია დეკორატიული ბაღები

⁂ თელავში სტადიონი უკვე დამთავრებულია; საქართველოს რაიონებში ასეთი სტადიონი პირველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურული ცხოვრება

— 1935 წელს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის ზესრულებასთან დაკავშირებით, საიუბილეო კომიტეტმა გამოაცხადა სრულიად საკავშირო კონკურსი რუსთაველის ძეგლის ტფილისში პროექტის შედგენისათვის. — ძეგლი უნდა წარმოადგენდეს რუსთაველის პორტრეტულ ქანდაკებას, რომელსაც საფუძვლად დაედება პოეტის არსებული უძველესი პორტრეტი; აგრეთვე მასალად გამოყენებული იქმნას შოთას დროის მხატვრული დოკუმენტები; ძეგლში მოცემული უნდა იყოს ვეფხისტყაოსანის იდეების, მოტივების თუ პერსონაჟების გახსახიერება, ბარელიეფებისა და თუ ფიგურების სახით; ძეგლთან ერთად უნდა გაფორმდეს არქიტექტურულად თვით სკვერიც საქართველოში არსებულ ქვების, მასალების გამოყენებით; ძეგლის სიმაღლე უნდა იქნეს არა უმეტეს ათი მეტრისა და სხ.

⁂ ქობულეთის რაიონში დამთავრდა წერაკითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო გამოძვება. წელს 1105 უცოდინარმა შეისწავლა წერაკითხვა.

⁂ სვანეთში — მესტიაში —გაიხსნა ხმოვანი კინო

⁂ გელათში აღმოაჩინეს აკლდამა 2 მეტრის სიმაღლის და 6 მეტრი სიგრძის; აკლდამას ირგვლივ ჩამოსაჯდომები აქვს 40 კაცისათვის. ხდება გამოკვლევა. — ტფილისის მუზეუმმა ქუთაისში მიავლინა მხატვრები ქ. მაღალაშვილი და შ. აბრამიშვილი, რომელთაც დავალებული აქვთ გელათის მთავარი ეკლესიის მუზეუმის გადახატვა.

⁂ დაიბეჭდა პროფ. ს. ყაუხჩიშვილის ნაშრომის — „გეორგიკა"-ს მესამე ტომი. ეს ტომი შეიცავს მეექვსე საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელ ისტორიკოსების ცნობებს იმდროინდელ საქართველოს შესახებ წიგნში თოთავსებულია ძველი ბერძნული ძალა დასავლეთ საქართველოს დასახლებულ პუნქტებისა და ციხე-სიმაგრეების შესახებ, რომელნიც ეხლა აღარ არსებობენ. — მიმდინარე წელს პროფ. ყაუხჩიშვილმა გამოიკვლია რომაულ-ბიზანტიური ციხე-სიმაგრეების ნარჩენები დასავლეთ საქართველოში, მათ შორის 5—6 საუკუნის დღემდე უცხობი ციხე-სიმაგრე სოფ. ტოლებში —ბერძნულად ტელეფისი, — ჩოხატაურის ახლოს. ამ ჟამად მუშაობა გრძელდება ჩხარის რაიონის სოფ. სკანდაში, სადაც არის უძველესი ნანგრევები ნაგებობისა, რომელსაც ჯერ კიდევ ბერძენთა ისტორიკოსი სტრაბონი იხსენიებს სკანდაის სახელწოდებით.

⁂ საქ. კომ. საბჭომ გადააყენა რუსთაველის თეატრის დირეკტორი ალ. ახმეტელი; ამ სასჯელის მიზეზად დასახელებულია ის ამბავი, რომ ა. ახმეტელმა უკანონოდ დაითხოვა მსახიობი ხორავა და რეჟისორი ვასაძე.

⁂ გამოიცა ცნობილი მოგზაურის შარდენის წიგნი, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს ეხება.

⁂ საქ. კინომრეწველობა იღებს ახალ ხმოვან ფილმს: „ნარინჯის ველი", ლეო ქიაჩელის და ნ. შენგელაიას სცენარის მიხედვით.

⁂ რეჟისორ ს. დოლიძის ხელმძღვანელობით მთავრდება რეპეტიცია ახალი ხმოვანი ფილმის „დარიკოს" გადასაღებად, ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „სიმონას" მიხედვით.

⁂ მზადდება ფილმი: „ბორჯომის მინერალური წყალნი", სადაც ნაჩვენები იქნება მინერალური წყაროების წარმოშობა, მისი სამკურნალო თვისებანი, და სხ.

⁂ გამოიცა „მიხას" ლექსი — ხალხური შემოქმედება ქიზიყელ ყაჩაღ, მიხა მწურლიშვილის ცხოვრების შესახებ.

⁂ ოქტომბერში, ტფილისში და მთელ საქართველოში მოეწყობა ვაჟაფშაველას შემოქმედებისა და მდიდარი მემკვიდრეობისათვის მიძღვნილი დიდი საღამო. გამომცემლობა „ფედერაციას" დაეგვალა სასწრაფოდ გამოუშვას ვაჟას რჩეული ნაწერების ერთტომეული, სახელგამს კი — დაიჩქაროს მწერლის ნაწარმოებთა სრული კრებულის გამოცემა.

⁂ აბასთუმანის ასტრო - ფიზიკურმა ობსერვატორიამ ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაშალა მზის დაბნელების დაკვირვებისათვის, რაც 1936 წელს მოხდება.

⁂ საქ. ხელოვნების მუზეუმი „ნეტეხი" წელს მეოთხე კვარტალიდან მნიშვნელოვანად აფართოებს თავის მუშაობას. ყოფილი ციხის სამი კორპუსის შეკეთება მთავრდება; იქ დროებით მოეწყობა მუზეუმის გამოფენები.

⁂ დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომი უკვე გადაცემულია დასაბეჭდათ. გეოგრაფიული რუკები იბეჭდება მოსკოვში. ენციკლოპედიის პირველ ტომში იქნება მხოლოდ ასო ა -თ დაწყებული სიტყვები, ორ სვეტად პეტიტით აწყობილი 1000 გვერდზე მეტი ტექსტით.

⁂ მოსკოვიდან სოხუმს ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის ერთი წევრია ნეგრი პროფესორი ქალი. ექსპედიციის მიზანია გამოარკვიოს აფხაზეთში მცხოვრებ ნეგრების ყოფა. — ასორმოცდაათი წლის წინად აფხაზეთში დასახლებულან ნეგრები, რომელთა შთამომავლობა ეხლა ას ოჯახს უდრის. ისინი ლაპარაკობენ აფხაზურად და მათ შავ აფხაზებს ეძახიან.

⁂ საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მათემატიკის ინსტიტუტის დაარსება ტფილისში.

⁂ სოფ. ქოლუბნის მშრომელ მოსახლეობას არავითარი კულტურული გასართობი არ გააჩნია. გადასწყვიტეს კლუბის შენობის ყიდვა, იყიდეს კიდეც, რაზედაც 25. 000 მანეთი დაიხარჯა. კლუბის შეკეთებას საშველი არ დაადგა. კლუბს არ აქვს სახურავი და ფანჯრები.

⁂ გაზეთი „კომუნისტი" მოსთქვამს: —„ჩვენ გვესაჭიროება კულტურა არა მოჩვენებითი, არამედ ნამდვილი, ორგანიულად შესისხლხორცებული. ვინ იტყვის, რომ კულტურის დანერგვის დარგში ჩვენი მიღწევები გრანდიოზული არ იყოს! მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია „წვრილმანი"!, რომლებიც საერთო ბრწყინვალე ფონზე შავად მოსჩანან. ამ წვრილმანებსაც უნდა მივხედოთო!....

ტიციან ტაბიძე

ორდენოსან სამშობლოსათვის

მთაც ლამაზი გავქს, ბარიც ლამაზი,
დიდებანს გადარეს მგოსნებმა ედემს.
გახედავ — და თვალს იტაცებს ვაზი,
გახედვა — თვალი ვერ ატანს ქედებს.
ღმერთ თეთრი ირმის ნაწველი,
დღე შვინდისფერი ვარაყიანი,
ჩერქეზის ქალებს აშვენებს ცლი,
სუეტდება მიწა ბარაქიანი.

2.

შენი „ანბანის" და „ხილთა ქებით"
უჭრელებიათ პერგამენტები.
ვერ ნახავ ხის ტოტს, ხილი არ ებას
დასაკრეფადაც არ გვემეტება!
დამდგარა ნისლი გომბორის მთაზე
ერთად ჰყვავიან დეკა და ღვია,
მომხიბლავია ეგ სილამაზე
ვაჟაფშაველას ცრემლი ატყვია!

3.

ანბანის ქებას ვინ დაიქადებს,
დღეს უანბანო არავინ არი.
ასე მოადგა აჭარის ქედებს
ჩაის ლაჟვარდი ცის ქარავანი.
ასე მოადგა ლაგოდეხის ველს
კამეჩიანი ურმების ურდო.
რომელ ხილს აქებ, ან რომელ თაველს,
თუნდ რუსთაველის ლექსი გაქურდო?

4.

შენ ფრიალო მთებს, შენ კლდესა და ღრეს
მტკაველი მიწა არ დარჩა მყარი —
აბა ყამირი სად არ აყარეს,
რომელ უდაბნოს არ მისცეს ღარი?
მაჩვენე კაცი, რომ არ ეკადროს
ეს ხელჩართული ფიცხელი ომი,
მართლა მოელის წითელ ესკადრას
წინად გამსკდარი პალიასტომი!

5.

დაჭკრეს წერაქვი... დაგუბდა წყალი
ნარინჯოვანი ამოდის ბაღი.
აღარ აცივებს კრუხებს კანკალით,
ტრიალებს ზეცის ლაჟვარდის თაღი.
ხართ მეზობლები ახალი სოფლის
სტალინის მიწის ხართ ბინადარი,
პატიოსნება გწამთ შრომის ოფლის
არ გაუცვეთ კერას ღადარი!

6.

ახედეთ მაღლა იალბუზის ბჭეს,
არც მყინვავია მაზე დაბალი,
მაგრამ ორივეს გადააბიჯებს,
რაკი გაუხსნეს ხალხს მომავალი.
ყოველი სული, მღილი ბალახი,
ვაზი ხის წვერზე სუროთ ასული
და მაღალ შტოზე გადატანილი
ფეთქავს ლენინის ძლიერი სულით
და ყველა მათში ფეთქავს სტალინი!

7.

შირაქის ველი თვალუწვდენელი,
ჭიაურის ტყე გზა დაბურული,
ენგურის წყალი დაულეველი,
სვანეთის მთების ზვავთა შურდული,
წინანდლის ვარდი დაუჭკნობელი,
ყვარელის ვაზი, კახეთის გული,
ალადასტური და ოჯალეში
აჯამეთივით მიმდგარი ყანა,
არხით მორწყული ყველა სოფელი
მთა მყინვარისა, უშბა, უშგული
ლოცავენ მიწას თავის მწყალობელს
ჩემთან მღერიან ერთ საგალობელს!

8.

ორმოცის წლის ვარ, კიდევ ორმოცის,
უფრო მტანჯველის, რომ ვიყო მთველელი
ვერ შემაჩერებს გათხრილი ორმოც
ყრმა ვარ უცადი და პირტიტველი.
ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება
ჩემი სამშობლოს დიადი ბედი...
არ უნდა კვესით გულს ამღერება
ცეცხლმიუდებლად იწვის აბედი!..

9.

სხვას თუ არ ახსოვს შენ მაინც გახსოვს,
ოდეს ტანჯულო სამშობლო მხარე,
თუ რა მდუღარე ცრემლი გედინა,
გაშალე ყველა ძველი ეფუთი
და ბედისწერის კარაბადინი;
მაჩვენე სადმე, რაც ქართველ ხალხში
ასეთი შრომის მშვიდობა არის?
აბა თუ გახსოვს თუნდ ერთი წუთი,
რომელ ერთს მაინც დამისახელებ
ასეთ ბედნიერ მე ქრონიკონს!..

10.

ისმის სიმღერა იანიჩარის
და ყრუ ქვითინი მამელუკისა,
შინ დაბრუნებას გული იჩქარის —
გზა დაბურდულა ყველა რუქისა.
განა ელირსა ვინმე იმათგანს,
კიდევ ენახა სამშობლო მხარე?
მრუდეს ლესავდა იგი იატაგანს,
თან დასდიოდა ცრემლი მდუღარე.

11.

შამილის ბებერ დამაშვრალ ძვლებს
ვერ მოასვენებს მექა-მედინა,
სამოთხეშიაც სული ველარ ძლებს
მიურიდს სირცხვილის ცრემლი ედინა.
ჩვენც კარგად გვახსოვს ლეკის ტყვეობა
გურამიშვილი და ლამისყანა.
დღეს კი გაჩაღდა მთებში დღეობა
და გულის ძგერით უსმენს ქვეყანა
იმან შეახსნა დარუბანდს კარი,
ვისი სამშობლოც მსოფლიო არის!.

12.

უთქვამთ, რომ ხალხებს ყრმა ისკანდერმა
კავკასიონზე ესროლა ბადე.
სალი გასტეხა კლდე ხალხთა გრდემლმა,
თავის მესია — თვითონ დაბადენ.
თვითონ დროშაა და ამ დროშის ტარს,
ვერავინ ნახავს გაღუნულს, დახრილს!
მონათ დახსნის ხმა უფრო შორს ატანს,
მაკედონელის გასცდება მახვილს.

13.

ორმოცი წლის ვარ, კიდევ ორმოც წელს
აღარ მომაკლებს ლექსი ჟრუანტელს,
ოღონდ გხედავდე ასე ბედნიერს
შენ და შენ გაზრდილ მსოფლიო ნათელს.
გამოვიტანჯეთ ეს შედარება,
რამაც ბავშობის გული განგმირა,
ჩვენ კლდეს ყორანი არ ეკარება,
ამ ამირანის სახელიც ვიცით —
მთელი დუნია იხსენებს ფიცით!..

14.

ასე მგონია ადგება მარრი
და ხელს დაადებს ახალ ხანძთელს
ერთი მერჩული დასტურ რა არი,
როგორ გასწვდება ჩვენ გმირს აწინდელს?
რომ აიწეროს საქმე და ღვაწლი,
რაც ჩვენ ცხოვრებას თან შეეზარდა,
ათას ერთ ღამის ზღაპრის სანაცვლო
ათას ერთი დღის შეხერეზადა.

პასუხი „ორდენოსან მგოსანს"
ტიციან ტაბიძეს

1.

შორსა ვართ, შორსა! და გვესიზმრება
ღვთის-მშობლის კუთხე, ჩვენი ედემი...
ჩაგვატყდა გულში სევდა ისრებად,
მაგრამ გვინათებს გზებს იმედები.
ღამემ მოისხა შავი ნაბადი.
დღემ სქელი ნისლი შემოგვახვია.
ბედმა გვიმუხთლა: გვესროლა ბადე,
მაგრამ ცრემლები არვის გვატყვია.

2.

ქართულ სინიდისს, ქართულ ანბანით
ინახავს ძველი პერგამენტები.
დღეს ძმათა სისხლში რითმა განბანეთ,
დაჭყარეთ ლექსთა წითელი მთები.
გომბორის მთიდან ფლიდო იუდა
გვესროლე ლექსი ბრმა, გულსაკლავი.
არ შეგიცოდებს ვაჟას ალუდაც
მოგკვეთოს ძირში მარჯვენა მკლავი.

3.

ანბანის ქებას ვერ დაიქადებ,
დღეს უანბანო არავინ არი.
ჯალათს უმზადებ რითმებით ქადებს
მგოსანი მხდალი და ცოცხლად მკვდარი.
ქართულ პარნასზე ოდნავ დანისლა,
გარს მოეხვია ფინიათ ურდო.
ვერ გაათეთრებ ყეფით სტალინსა,
თუნდ რუსთაველის ლექსიც გაქურდო.

4.

თურმე მოელის წითელ ესკადრას
„წინად გამსკდარი პალიასტომი"!
კაცი არ დარჩა, რომ არ ეკადროს
ოფლის გაღება, ფიცხელი ომი.
ჩვენ გვჯერა: ყველა ჩაება ომში!
შენ კი რუსთველის გამზირს ზომავდი.
ფრთხილად, მგოსანო! პალიასტომში
არ შემოიჭრეს თეთრი ხომალდი.

5.

დაჭკრეს წერაქვი!.. მაგრამ გვითხარი:
შენ მიერ მიწა ამონათხარი
თუ არის სადმე, ერთი მტკაველი?
როს ჩვენი გლეხი თოხნის ყანაში,
შენ, ვიცით, ზიხარ ყავახანაში
და, გაბუტული, მუზას მოელი.
გახვევ სინიდისს თხელ ჩერვონცებში...
გაემგზავრები პატარა ცემში.

6.

შორიდან ვხედავთ იალბუზის ბჭეს!
(იქ ვერვინ ვპოვეთ შენზე დაბალი).
მალე დარაზმავს განიერ ბეჭებს
თეთრ-გიორგელთა სპა, მომავალი.
და თუ ჩვენს ბალახს, ჩვენს ყვარელის ვაზს
უდგია სკვითელ ლენინის სული —
ბალახს ამოთხრის, ვაზებს გადასწვავს,
რომ მოსპოს სენი ვენერიული.

7.

„შირაქის ველი თვალუწვდენელი,
ჭიაურის ტყე გზა დაბურდული,
ენგურის წყალი დაულეველი,
სვანეთის მთების ზვავთა შურდული"...
რა სურათია! ოჰ, რა ლამაზი!
აფსუს, არ გიყვარს გულის მურაზი,
თორემ იტყოდი: კუთხე ყოველი
და მუჭა მიწაც ჩვენი ქვეყნისა,,
ღობე, ბოსელი, ნალია, კალო,
მამა-დავითი და საბურთალო
და წმიდა ნინოს ჯვარი ვაზისა
დედის ცრემლებით არის სოველი.
რო გაანათეთ თქვენი ზაჰესი,
მშობელმა მიწამ ველარ დამალა
ტყვიით გამსკდარი ქართველი ქალი
სევდა მყინვარზე ულამაზესი.

8.

ორმოცი წლის ხარ და ბირტიტველი.
ნეტა რა არის აქ საკვირველი?!
სამწუხაროა, რომ მგოსანს სული
სტალინის დანით გაქვს მოპარსული.
გაივლის კიდევ წელი ორმოცი,
შეგემატება ორდენი, ხორცი.

9.

თამარის ხანის უარმყოფელი,
(გაგიწყრეს ოქროს გვირგვინის მადლი!)
დღეს უაილდის მწიფე პროფილით
დახოხავ მუცლით სტალინის მატლი.
შეგმატოს მარქსმა წითელი ქონი!
და ჯუღაშვილის ქორონიკონიც,
მგოსანო, შენთვის დაგვილოცია:
„დედას თავს მოვჭრი, მამას დავახრჩობ,
თუ მიკარნახებს რევოლუცია"...

10.

ჩვენს ბედს დასცინი მონა, ლაჩარი!
გინდა შეგვიკრა გზები რუქისა...
ჩვენთვის უცხოა იანიჩარი
და ყრუ ქვითინი მემელუკისა.
ჩვენ არ შევცქერით ზეცას მუდარით.
ჩვენ დავბრუნდებით ჩვეულ ბილიკით,
რომ გადავჩეხოთ დარუბანდს იქით
წითელი დროშა, გასისხლულ ტარით.

11.

შამილს ებრძოდა ქართული ხმალი
და სინანულის ცრემლი ედინა.
დღეს მისცა ფიცი ძმობის ახალი
სვეტი-ცხოველმა მექა-მედინას.
ამ ძმობას ხმალიც ახალი ახლავს
და ვერ გაგვთიშავს ჯვარი და ხატი.
ჩუმად, უზრდელო! პატივი საფლავს!
არ გააჯავრო ხაჯი-მურატი!

12.

კლდეს მიჯაჭული დევ-ამირანი
თავისუფლების არის მესია.
იმის კაჟ გულზე დიდი ირანის
ჩაჩქან-აბჯარსაც დაუკვესია.
ვარდს მუდამ ერჩის ჭია ვერანი, —
განგებას ასე დაუწესია.
ბევრჯელ დაჭრილა ამირან ომში..
მთვარეს უჩრდილავს მზე სხივოსანი,
მაგრამ არ გვახსოვს ბნელ, შმორ ჭაობში
პირს რომ იბანდა მისი მგოსანი.

13.

დაულეწია ჯაჭვი „წითელ გმირს"!
ამ „გმირს" ეძახი, ბრიყვო, ამირანს.
და ლომად ნათლავ ჩვენს ქოჩორა ვირს,
არწივად — ლეშით გამაძღარ ყორანს.
ამ „ამირანის" სახელი ვიცით:
ქართველი დედა იხსენებს კიცხვით.
რომ ჩამოვსთვალოთ „ღვაწლი" და „კაცი"
რაც ჩვენს ქვეყანას თან შეეზარდა,
მაგ შენს „ამირანს" სილას გაწნის
ყარაჩოღელიც და არამზადა.

14.

მაგრამ მოსწყდება მთით ნიაღვარი,
კვლავ გაიელვებს რისხვა ერისა:
თეთრი გიორგის შუბი და ჯვარი
და ხმალი მირზა ისკანდერისა.
წინანდლის ვარდი თუ იქცა ეკლად,
ჩვენ მაინც ვეტყვით ტკბილ ქართულ ნანას
პატარა კახის ასულსა თეკლას;
ორბელიანის ქალსა მანანას.

სიმონ ბერი

.. სტამბოლში გარდაიცვალა თ. ჯოტო შერვაშიძე. განსვენებულის ღრმა პატივისმცემელნი და მეგობრები მის შვილებს — ვლადიმერს და ნიბეილს მათ მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ.

ჩვენი შინაური ცხოვრება ..

მთავარი სამდივნოს დადგენილებანი: — დანიშნულა მონპელიეს რაზმის ხელმძღვანელად ბ. ვ. ციცქიშვილი; ლიონში — ბ. დ. გიორგობიანი.

რაზმების ხელმძღვანელებს ევალებათ ყოველი თვის დასაწყისში საწევრო გადასახადი გადმოგზავნონ ბ. მათე კერესელიძის შემდეგი მისამართით: 28, Rue de Ranelagh, Paris, 16.

გაზ. „კლდის" უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ ბ. შ. ქარუმიძის წერილის შესახებ ცალკე იბეჭდება ბ. მ. წერეთელისა და ბ. ტ. მარგველაშვილის პასუხი.

პარიზის დარაზმულობაში ..

5 აგვისტოს რაზმის კულტურულმა სექციამ მოაწყო მოხსენება ბ. ვ. ნოზაძისა, რომელმაც დაახასიათა თანამედროვე ბრიტანეთის იმპერიის წესწყობილება და განსაკუთრებით შეეხო კოლონიებისა და დომინიონთა მდგომარეობას იმპერიის ფარგლებში.

2 სექტემბერს პარიზის რაზმის საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა სხვა და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე.

9 სექტ. რაზმში ბ. ზ. ავალიშვილმა გააკეთა მოხსენება საქართველოს ისტორიის საკითხებზე; თემად ჰქონდა აღებული ის წერილები, რომელნიც საფრანგეთის ნაციონალ. ბიბლიოთეკაში ინახებიან. მათ შორის ბ. ზ. ავალიშვილი შეჩერდა სამ დამახასიათებელ წერილზე, რომელსაც ფართო ისტორიული ანალიზი მოუხდინა. ეს წერილები დღემდე გამოუქვეყნებელია. რაზმმა ბ. ზ. ავალიშვილს ამ მეტად საინტერესო მოხსენებისათვის დიდი მადლობა გამოუცხადა.

Le Gérant : Félix Kaldenbach

Imp. de Navarre, 5, rue des Gobelins, Paris XIIIe.